F 171
1959

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

# ბრძანებათა და ინსტრუქციათა

# კრებული

# СБОРНИК

## ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

*Министерства просвещения Грузинской ССР*

**4**

აპრილი

თბილისი—1959

ეროვნული ბიბლიოთეკა

F 2233

# კანონი

## საქართველოს სს რესპუბლიკაში ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ

ჩვენი ქვეყანა შევიდა ახალ პერიოდში—კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში, რომლის დიადი პროგრამა დასახულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით. ყრილობამ აღნიშნა, რომ კომუნიზმზე გადასვლისათვის საჭიროა არა მარტო განვითარებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, არამედ საზოგადოების ყველა მოქალაქის შეგნებულობის მაღალი დონეც და ხაზი გაუსვა მშრომელთა, განსაკუთრებით მოზარდი თაობის, კომუნისტური აღზრდის ამოცანის დიდ მნიშვნელობას. ამ ამოცანის განხორციელებაში განსაკუთრებული როლი ეკუთვნის საბჭოთა სკოლას.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო აღნიშნავს, რომ სსრ კავშირის 1958 წლის 24 დეკემბრის კანონი „სსრ კავშირში ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“, მიღებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს იმ თეზისების საფუძველზე, რომლებიც ერთსულოვნად იქნა მოწონებული საყოველთაო-სახალხო განხილვის დროს, ასახავს საბჭოთა საზოგადოების მომწიფებულ მოთხოვნილებებს სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის პერიოდში, მოასწავებს ახალ ეტაპს საბჭოთა სკოლის განვითარებაში და წარმოადგენს მოზარდი თაობისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მზრუნველობის ახალ გამოვლინებას.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოს მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ისტორიულად მოკლე ვადაში არნახულ წარმატებებს მიაღწიეს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერების, კულტურისა და განათლების განვითა-

რების, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ამაღლების საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელად გატარების მეოხებით საქართველოს სს რესპუბლიკაში განხორციელებულია საყოველთაო შვიდწლიანი სწავლება, ფართოდ განვითარდა საშუალო, პროფესიულ-ტექნიკური და უმაღლესი განათლება. უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტთა მომზადების მხრივ საქართველომ გაუსწრო ბევრ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანას.

დიდი წარმატებებია მიღწეული მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში. შექმნილია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, აგრეთვე ბევრი სხვა სამეცნიერო დაწესებულება.

კულტურის დარგში რესპუბლიკის მიერ მოპოვებულ მიღწევებში გადამწყვეტი როლი შეასრულა საბჭოთა სკოლამ.

საზოგადოების კომუნისტური გარდაქმნა განუყრელად არის დაკავშირებული ახალი ადამიანის აღზრდასთან, ადამიანისა, რომელშიც ჰარმონიულად უნდა იყოს შეხამებული სულიერი სიმდიდრე, მორალური სიწმინდე და ფიზიკური სრულყოფა. კომუნისტური საზოგადოების ადამიანი თავისუფალი იქნება წარსულის გადმონაშთებისაგან მომზადებული იქნება გონებრივი და ფიზიკური შრომისათვის. ადამიანის ჰარმონიული განვითარება წარმოუდგენელია ფიზიკური შრომის გარეშე, რომელიც ამაგრებს ორგანიზმს და ამაღლებს მის სასიცოცხლო ფუნქციებს.

მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები ძირეულად ცვლიან შრომის ხასიათს. მუშათა და კოლმეურნეთა შრომა სულ უფრო მეტად უახლოვდება ინჟინრების, ტექნიკოსების, აგრონომებისა და სხვა სპეციალისტების შრომას. თანდათანობით ისპობა არსებითი განსხვავება ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის.

სახალხო განათლების განვითარებისა და საშუალო და უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტთა მომზადების საქმეში მიღწეული შესანიშნავი წარმატებების მიუხედავად, ჩვენს ზოგადსაგანმანათლებლო, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სკოლებს სერიოზული ნაკლოვანებები აქვთ, ისინი ჩამორჩებიან კომუნისტური მშენებლობის მოთხოვნებს, ამ ნაკლოვანებათაგან მთავარია სწავლების ერთგვარი მოწყვეტა ცხოვრებისაგან, სკოლების კურსდამთავრებულთა სუსტი მომზადება პრაქტიკული საქმიანობისათვის.

ამიტომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მოზარდი თაობის

აღზრდას კომუნიზმის სულისკვეთებით, საჭიროდ მიიჩნია დაუახლოოს სკოლა ცხოვრებას, შეაერთოს სწავლება საზოგადოებრივად სასარგებლო ნაყოფიერ შრომასთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა მოწოდებულია მოამზადოს ყოველმხრივ განათლებული ადამიანები, რომლებიც კარგად უნდა იცნობდნენ მეცნიერების საფუძვლებს და ამასთან შესწევდეთ სისტემატური ფიზიკური შრომის უნარი, ჩაუნერგოს ახალგაზრდობას მისწრაფება სასარგებლო იყოს საზოგადოებისათვის, აქტიურად მონაწილეობდეს საზოგადოებისათვის საჭირო მატერიალურ ფასეულობათა წარმოებაში. სწავლების მჭიდრო კავშირი ცხოვრებასთან, წარმოებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან უნდა გახდეს სკოლაში მეცნიერებათა საფუძვლების, მოზარდი თაობის კომუნისტური მორალის სულისკვეთებით აღზრდის საფუძვლების წამყვანი საწყისი.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ტექნიკურ-ეკონომიური ზრდის პერსპექტივები, საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ფართოდ განხორციელება სულ უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებს მუშათა კადრების პროფესიულ-ტექნიკურ მომზადებას და საწარმოო კვალიფიკაციას. ამის გამო განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება მაღალი კვალიფიკაციის მუშების მომზადებას პროფესიულ ტექნიკურ სასწავლებლებში და მუშათა კადრების სწავლებას უშუალოდ წარმოებაში.

კომუნისტური მშენებლობის ახალი ამოცანები მოითხოვს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას.

საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლების სისტემის გარდაქმნაში მთავარი ის არის, რომ სწავლება უფრო მჭიდროდ დაუკავშირდეს ცხოვრებას. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს სპეციალისტთა პრაქტიკული და თეორიული მომზადება, რომ ისინი აღიზარდონ როგორც კომუნიზმის აქტიური მშენებლები.

თანამედროვე წარმოება, რომელიც მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევებს ემყარება, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების კურსდამთავრებულებისაგან მოითხოვს თეორიული მომზადების მაღალ დონეს და პრაქტიკის კარგად ცოდნას.

უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა მომზადებაში ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული დაუსწრებელი და საღამოს სწავლების ფორმები.

საჭიროა გადაჭრით გაუმჯობესდეს უმაღლესი სკოლისა და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მუშაობა, რათა სტუდენტებს გამოუმუშავდეთ მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობა, ამაღლდეს მათი კომუნისტური შეგნებულობა და აქტივობა, ახალგაზრდა სპეციალისტები აღიზარდონ კოლექტივიზმისა და შრომისმოყვარეობის, საზოგადოებრივი მოვალეობის შეგნების, სოციალისტური ინტერნაციონალიზმისა და პატრიოტიზმის, კომუნისტური მორალის მაღალი პრინციპების დაცვის სულისკვეთებით.

შესაბამისად სსრ კავშირის 1958 წლის 24 დეკემბრის კანონისა „სსრ კავშირში ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ", საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

## კ ა რ ი I

### საშუალო სკოლის შესახებ

**მუხლი 1.** საბჭოთა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მთავარი ამოცანაა მოსწავლეების მომზადება ცხოვრებისათვის, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისათვის, მათი ზოგადი და პოლიტიკური განათლების დონის შემდგომი ამაღლება, მომზადება განათლებული ადამიანებისა, რომლებმაც კარგად უნდა იცოდნენ მეცნიერებათა საფუძვლები, ახალგაზრდობის აღზრდა სოციალისტური საზოგადოების პრინციპებისადმი ღრმა პატივისცემის, კომუნიზმის იდეების სულისკვეთებით.

საშუალო სკოლაში სწავლებისა და აღზრდის წამყვანი საწყისი უნდა გახდეს სწავლების მჭიდრო კავშირი შრომასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან.

**მუხლი 2.** შემოღებულ იქნას საქართველოს სს რესპუბლიკაში ყველგან საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი განათლება, ნაცვლად საყოველთაო სავალდებულო შვიდწლიანი განათლებისა, 7-დან 15—16 წლის ასაკამდე ბავშვებისა და მოზრდილებისათვის.

რვაწლიანი სკოლა არის არასრული საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური სკოლა, რომელმაც მოსწავლეებს უნდა მისცეს ზოგადსაგანმანათლებლო და პოლიტექნიკური ცოდნის მტკიცე საფუძვლები, ჩაუნერგოს მათ სიყვარული და მზადყოფნა საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობისათვის, განახორციელოს ბავშვთა ზნეობრივი, ფიზიკური და ესთეტიკური აღზრდა.

რვაწლიანი სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა ისე უნდა აიგოს, რომ ერთმანეთთან იყოს შეხამებული მეცნიერებათა საფუძვლების შესწავლა, პოლიტექნიკური სწავლება და შრომითი აღზრდა, მოსწავლეები ფართოდ იქნან ჩაბმულნი საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის ისეთ ფორმებში, რომლებიც მისაწვდომია მათი ასაკისათვის.

სკოლა უნდა ეხმარებოდეს მოსწავლეებს გამოავლინონ თავიანთი მიდრეკილებანი და შეგნებულად აირჩიონ მომავალი პროფესია.

მცირე დასახლებულ პუნქტებში შენარჩუნებულ იქნან დაწყებითი სკოლები პირველი ოთხი კლასის შემადგენლობით. ამ სკოლების კურსდამთავრებული მოსწავლეები გადაყვანილ უნდა იქნან უახლოესი რვაწლიანი ან საშუალო სკოლის მეხუთე კლასებში.

**მუხლი 3.** პასუხისმგებლობა საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების განხორციელებისათვის დაეკისროთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აგრეთვე აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს.

საყოველთაო რვაწლიანი სწავლების განხორციელებისათვის პირობების შექმნის მიზნით:

საჭიროების შემთხვევაში, იმ მოსწავლეებისათვის, რომლებიც სკოლიდან სამი კილომეტრის მეტ მანძილზე ცხოვრობენ, მოეწყოს ინტერნატები, სადაც მათ მიეცემათ ცხელი საჭმელი, ან უზრუნველყოფილ იქნას ბავშვების რეგულარული მიყვანა სკოლაში და სკოლიდან წაყვანა უფასოდ.

შეიქმნას სკოლებთან საყოველთაო სწავლების ფონდი როგორც ბიუჯეტის სახსრებით, აგრეთვე კოლმეურნეობების, პროფესიული და კოოპერაციული ორგანიზაციების სახსრების, სასკოლო სახელოსნოების, სკოლებთან არსებული სასწავლო-საცდელი ნაკვეთების შემოსავლისა და სხვა წყაროების გამოყენებით ხელმოკლე მოსწავლეებისათვის მატერიალური დახმარების გასაწევად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაამტკიცოს დებულება საყოველთაო სწავლების ფონდების შესახებ.

**მუხლი 4.** პასუხისმგებლობა იმ ბავშვთა და მოზარდთა დროულად და ზუსტად აღრიცხვისათვის, რომლებსაც საყოველთაო სავალდებულო სწავლება ეხებათ, დაეკისროთ საქართველოს სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტატისტიკურ სამმართველოს და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაამტკიცოს ინსტრუქცია იმ ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის შესახებ, რომლებსაც საყოველთაო სავალდებულო სწავლება ეხებათ.

**მუხლი 5.** მშობლები ან მათი შემცვლელი პირები, აგრეთვე თანამდებობის პირები, რომლებიც ხელს შეუშლიან ბავშვთა და მოზარდთა საყოველთაო სავალდებულო რვაწლიან სწავლებას, მიცემულ იქნან პასუხისგებაში საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ გამოსცეს დადგენილება საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი განათლების შესახებ და განსაზღვროს მასში იმ მშობლებისა და მათი შემცვლელი პირების პასუხისმგებლობა, რომლებიც ხელს შეუშლიან ბავშვთა და მოზარდთა საყოველთაო სავალდებულო რვაწლიან სწავლებას.

**მუხლი 6.** მოსწავლეებს, რომლებმაც დაამთავრეს რვაწლიანი სკოლა, ეძლევათ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დაწესებული ნიმუშის მოწმობა; ამ სკოლის კურსდამთავრებულთ უფლება აქვთ შევიდნენ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში და საშუალო ზოგადსაგანმანათებლო და სპეციალურ სასწავლებლებში.

**მუხლი 7.** დაწესდეს, რომ ახალგაზრდობის სრული საშუალო განათლება, დაწყებული 15—16 წლის ასაკიდან ხორციელდება ნაყოფიერ შრომასთან სწავლების შეერთების საფუძველზე იმ ანგარიშით, რომ ამ ასაკის მთელი ახალგაზრდობა ჩაებას საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში.

**მუხლი 8.** დაწესდეს იმ სასწავლებლების შემდეგი ძირითადი ტიპები, რომლებიც სრულ საშუალო განათლებას იძლევიან:

ა) მუშა ახალგაზრდობის და სოფლის ახალგაზრდობის სკოლები—საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, რომლებშიც რვაწლიანი სკოლის კურსდამთავრებულნი და სახალხო მეურნეობის ერთ-ერთ დარგში მომუშავე პირები სამი წლის განმავლობაში მიიღებენ საშუალო განათლებას და აიმაღლებენ პროფესიულ კვალიფიკაციას.

მომუშავე ახალგაზრდობისათვის, რომლებსაც შვიდწლიანი განათლება არა აქვთ, საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს დროებით შეიძლება ექნეთ კლასები, მესამედან დაწყებული, მცირე კონტინგენტის დროს მომუშავე ახალგაზრდობის სწავ-

ლებისათვის სკოლებთან შეიქმნას ცალკეული კლასები საწარმოო სწავლებით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური სკოლები საწარმოო სწავლებით, რომლებშიც რვაწლიანი სკოლის კურსდამთავრებული პირები მიიღებენ სამი წლის განმავლობაში საშუალო განათლებას და პროფესიულ მომზადებას სახალხო მეურნეობის ან კულტურის ერთ-ერთ დარგში მუშაობისათვის. ასეთი საშუალო სკოლები შეიძლება შეიქმნას როგორც რვაწლიანი სკოლისაგან განცალკევებით, ისე მასთან ერთადაც.

თეორიისა და პრაქტიკის თანაფარდობა საწარმოო სწავლებაში და სწავლებისა და შრომის პერიოდების მონაცვლეობა დაწესდება მოსწავლეთა სპეციალური მომზადების პროფილისა და ადგილობრივი პირობების მიხედვით. სოფლის სკოლებში სასწავლო წელი უნდა აიგოს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა სეზონურობის გათვალისწინებით.

საწარმოო სწავლება და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა საშუალო სკოლებში შეიძლება გატარდეს უახლოესი საწარმოების სასწავლო საწარმოო საამქროებში და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოსწავლეთა ბრიგადებში, სასწავლო-საცდელ მეურნეობებში, სასკოლო და სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნოებში;

გ) ტექნიკუმები და სხვა საშუალო სპეციალური სასწავლებლები, რომლებშიაც რვაწლიანი სკოლის კურსდამთავრებულნი მიიღებენ საშუალო ზოგად და საშუალო სპეციალურ განათლებას.

ამას გარდა, შემდგომი განვითარება უნდა ჰპოვონ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითმა პოლიტექნიკურმა სკოლებმა, რომლებშიც მთელი რიგი საგნები უცხო ენებზე ისწავლება, აგრეთვე სკოლებმა იმ ბავშვებისათვის, რომლებმაც გამოიჩინეს განსაკუთრებული ნიჭი მუსიკისადმი, ქორეოგრაფიისა და სახვითი ხელოვნებისადმი.

**მუხლი 9.** იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს საზოგადოების როლი და დახმარება გაეწიოს ოჯახს ბავშვების აღზრდაში, გაფართოვდეს სკოლა-ინტერნატების ქსელი, აგრეთვე გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების ქსელი. დაწესდეს, რომ სკოლა-ინტერნატები მოეწყობა რვაწლიანი ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური სკოლის ან საწარმოო სწავლების მქონე საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური სკოლის ტიპის მიხედვით.

**მუხლი 10.** სპეციალური სკოლები გონებრივად და ფიზიკურად ნაკლებად განვითარებული ბავშვებისა და მოზარდებისათვის რეორგანიზებულ იქნას სკოლების დაწესებული ტიპების შესაბამისად, მათში მოსწავლე ბავშვთა და მოზარდთა განვითარების თავისებურების გათვალისწინებით.

**მუხლი 11.** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, დადგენილი წესის შესაბამისად, განსაზღვროს პროფესიები, რომელთა მიხედვით უნდა განხორციელდეს საწარმოო სწავლების მქონე საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი სკოლების მოსწავლეთა მომზადება არსებული საწარმოო ბაზის და სახალხო მეურნეობის კადრების მოთხოვნილებათა გათვალისწინებით, ამასთან მხედველობაში მიიღოს ქალაქისა და სოფლის სკოლების მუშაობისა და ქალთა შრომის თავისებურებანი.

**მუხლი 12.** რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს მოაწყონ მოსწავლეთა საწარმოო სწავლება კოლმეურნეობების მოსწავლეთა ბრიგადებში, სასწავლო-საცდელ მეურნეობებსა და საკოლმეურნეო ბრიგადებში მათ მიერ გამომუშავებული შრომადღეების ანაზღაურებით, მათთვის საჭირო ტექნიკის გამოყოფით მოსწავლეთა საწარმოო სწავლების ხელმძღვანელობისათვის გამოჰყონ აგრონომიული და ტექნიკური პერსონალი.

**მუხლი 13.** საჭიროდ იქნას ცნობილი, რომ ყოველმხრივ გაუმჯობესდეს აღმზრდელობითი მუშაობა სკოლაში; სკოლამ უნდა ჩაუნერგოს მოსწავლეებს სიყვარული ცოდნისა, შრომისა, პატივისცემა შრომის ადამიანებისადმი, ჩამოუყალიბოს მოსწავლეებს კომუნისტური მსოფლმხედველობა, აღზარდოს ისინი სამშობლოსა და ხალხისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და პატრიოტიზმის სულისკვეთებით, ჩაუნერგოს მოსწავლეებს სკოლაში, ოჯახსა და საზოგადოებრივ ადგილებში კულტურული ქცევის ჩვევები.

გაუმჯობესდეს პედაგოგიური პროპაგანდა მოსახლეობის ფართო ფენებში, ამაღლდეს მშობელთა და ყველა მოზრდილის პასუხისმგებლობა ბავშვთა აღზრდისათვის.

**მუხლი 14.** საქართველოს სსრ სკოლებში სწავლება წარმოებს მოსწავლეთა დედაენაზე.

მშობლების უფლებაა გადაწყვიტონ, რა ენაზე სწავლების სკოლაში მიაბარონ თავიანთი შვილები. რუსული ენის სწავლა იმ სკოლებში, სადაც სწავლება ქართულ ან სხვა ენაზეა, აგრეთვე ქართული ენის სწავლა იმ სკოლებში, სადაც სწავლება რუსულ ან

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა ენაზეა, წარმოებს მშობლებისა და მოსწავლეების სურვილის მიხედვით.

უცხო ენების სწავლა წარმოებს იმ სკოლებში, სადაც ამისათვის სათანადო პირობებია.

**მუხლი 15.** მეცნიერების საფუძველთა სწავლებისა და საწარმოო სწავლების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, სრულყოფილ იქნას სწავლების მეთოდები იმ მხრივ, რომ ყოველი ღონისძიებით განვითარდეს მოსწავლეთა დამოუკიდებლობა და ინიციატივა, გადიდდეს თვალსაჩინო სწავლება, ფართოდ იქნას გამოყენებული კინო, ტელევიზია და სხვა თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური საშუალებანი; ფართოდ განვითარდეს სკოლებში ტექნიკური გამომგონებლობა; მოსწავლეთა მუშაობა ახალი ხელსაწყოებისა და ტექნიკურ მოწყობილობათა მოდელების შექმნისათვის, განვითარდეს სასოფლო-სამეურნეო ცდების დაყენება.

**მუხლი 16.** ის პირები, რომლებმაც დაამთავრეს მუშა ახალგაზრდობის და სოფლის ახალგაზრდობის—საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური სკოლები საწარმოო სწავლებით, მიიღებენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დაწესებული ნიმუშის ატესტატს საშუალო განათლების შესახებ და უფლება აქვთ შევიდნენ უმაღლეს სასწავლებლებში; ის პირები, რომლებმაც დაამთავრეს საშუალო ზოგადსაგანმანათებლო შრომითი პოლიტექნიკური სკოლები საწარმოო სწავლებით, გარდა ამისა, მიიღებენ მოწმობას, რომ მათ დადგენილი წესის შესაბამისად მიენიჭათ კვალიფიკაცია არჩეული პროფესიის მიხედვით.

**მუხლი 17.** სკოლების გადაყვანა შვიდწლიანიდან რვაწლიან სავალდებულო სწავლებაზე, აგრეთვე სხვადასხვა ტიპის სრული საშუალო სკოლების მოწყობა დაწყებულ იქნას 1959—1960 სასწავლო წლიდან და დამთავრდეს 3—5 წლის განმავლობაში.

არსებული ათწლიანი სკოლები (მათი უფროსი კლასები) გარდაიქმნან ქალაქისა და სოფლის სხვადასხვა ტიპის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებად. ახლანდელი მე-8—მე-10 კლასების მოსწავლეებს საშუალება უნდა მიეცეთ დაამთავრონ საშუალო სკოლა მოქმედი სასწავლო გეგმისა და პროგრამების მიხედვით, ამასთან უნდა გაძლიერდეს მათი შრომითი მომზადება.

სახალხო განათლების სისტემის გარდაქმნა განხორციელდეს გეგმაზომიერად და ორგანიზებულად, არავითარ შემთხვევაში არ

იქნას დაშვებული მოსახლეობის სკოლებით მომსახურების გაუმჯობესება და საშუალო განათლების დონის დაქვეითება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მუხლი 18.** საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ, რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა, საწარმოების, მშენებლობების, საბჭოთა მეურნეობების, სარემონტო-ტექნიკური სადგურების და დაწესებულებების ხელმძღვანელებმა ყოველმხრივ შეუწყონ ხელი მომუშავე ახალგაზრდობას საშუალო განათლების მიღებაში. გაატარონ საჭირო ღონისძიებანი ამ ახალგაზრდობის სწავლებაში ჩაბმისათვის, დააწინაურონ სამუშაოზე ის ახალგაზრდა მუშები, რომლებიც წარმატებით სწავლობენ, დახმარება გაუწიონ ამ სკოლების პედაგოგიურ კოლექტივებს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებაში, განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზრდობის პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში, უზრუნველყონ მორიგი შვებულების მიცემა მოსწავლეებისათვის არდადეგების პერიოდში და ფასიანი დაწესებული შვებულებების მიცემა გამოცდების ჩასაბარებლად.

რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს შექმნან საჭირო პირობები იმისათვის, რომ კოლმეურნე ახალგაზრდობამ საწარმოო მუშაობა შეუთავსოს სწავლას.

**მუხლი 19.** სახალხო განათლების და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებმა განახორციელონ მკაცრი კონტროლი მოსწავლეთა შრომისა და დასვენების სწორ მონაცვლეობაზე რვაწლიან და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითს პოლიტექნიკურ სკოლებში საწარმოო სწავლებით, ამასთან არ დაუშვან მათი გადატვირთვა სწავლით, საზოგადოებრივი მუშაობით და შრომითი საქმიანობით, განახორციელონ კონტროლი შრომისა და უსაფრთხოების ტექნიკის წესების დაცვაზე საწარმოებში, მშენებლობებზე, საბჭოთა მეურნეობებში, სარემონტო-ტექნიკურ სადგურებში, სასკოლო და სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნოებში და სამუშაოზე კოლმეურნეობებში, მიიღონ საჭირო ზომები მოსწავლეთა ჯანმრთელობის განსამტკიცებლად. ამ მუშაობაში ფართოდ მიიზიდონ აგრეთვე საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

**მუხლი 20.** სკოლის გარდაქმნასთან დაკავშირებით, პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის, მასწავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის, პედაგოგიური ინსტიტუტების და თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმიანობის განსაკუთრებით მნიშვნელოვან ნაწილს უნდა შეადგენდეს სკოლაში სწავლების შინაარსის მეცნიერული საფუძვლების შემუშავება, ბავშვთა და ახალგაზრდობის სწავლების და კომუნისტური აღზრდის მეთოდების სრულყოფა.

საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს საბჭოთა პედაგოგიკის თეორიის დამუშავებას, სკოლაში პოლიტექნიკური და პროფესიული სწავლების საკითხებს, დადებითი გამოცდილების განზოგადებას და გავრცელებას.

**მუხლი 21.** დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს:

ა) განახორციელოს სკოლების მატერიალური ბაზის განმტკიცების, მრავალცვლიანი მეცადინეობის ლიკვიდაციის და საწარმოო სწავლების ორგანიზაციის ღონისძიებანი, აგრეთვე ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ სასწავლო ადგილების დათმობას საშუალო სკოლების უფროსი კლასების მოსწავლეებისათვის პროფესიული სწავლებისა და საწარმოო პრაქტიკის გასავლელად;

ბ) განახორციელოს მასწავლებელთა გადამზადება და სკოლების დაკომპლექტება საჭირო განათლების მქონე პედაგოგიური კადრებით, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ახალი ამოცანების შესაბამისად; განახორციელოს ღონისძიებანი მასწავლებელთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების შემდგომი გაუმჯობესებისა და მათი იდეურ-თეორიული დონის ამაღლებისათვის;

გ) დააწესოს რესპუბლიკის სკოლებში სასწავლო წლის დაწყებისა და დამთავრების ვადები და არდადეგების ხანგრძლივობა;

დ) დაამტკიცოს სავალდებულო რვაწლიანი ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური სკოლის, მუშა ახალგაზრდობის და სოფლის ახალგაზრდობის— საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლისა და საწარმოო სწავლების მქონე საშუალო ზოგადსაგანმანათებლო შრომითი პოლიტექნიკური სკოლის დებულებანი.

**მუხლი 22.** რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს ფართო მონაწილეობა მიიღონ სკოლების, სკოლა-ინტერნატების, სკოლებთან არსებული ინტერნატების, სასწავლო საწარმოო სახელოსნოებისა და მასწავლებელთა სახლების მშენებლობაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ გაითვალისწინოს, რომ გამოეყოთ კოლმეურნეობებს კრედიტები სასკოლო მშენებლობისათვის, აგრეთვე საშენი მასალები და მოწყობილობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კარი II

## პროფესიულ-ტექნიკური განათლების შესახებ

**მუხლი 23.** ახალგაზრდობის პროფესიულ-ტექნიკური განათლების ძირითადი ამოცანაა კულტურულ და ტექნიკურად განათლებულ კვალიფიციურ მუშათა და სოფლის მეურნეობის მშრომელთა გეგმაზომიერი და ორგანიზებული მომზადება სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის; მოსწავლეთა აღზრდა კომუნისტური სულისკვეთებით, მათი იდეური გამოწრთობა, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ჩანერგვა მოსწავლე ახალგაზრდობისათვის.

**მუხლი 24.** იმ ახალგაზრდობის პროფესიულ-ტექნიკური სწავლებისათვის, რომელიც წარმოებაში მიდის რვაწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ, შეიქმნას საქართველოს სს რესპუბლიკაში ქალაქისა და სოფლის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები.

პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები სპეციალდებიან წარმოების დარგების მიხედვით და ახორციელებენ სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას ნაყოფიერ შრომაში ახალგაზრდობის აქტიური, სისტემატური მონაწილეობის საფუძველზე და საწარმოებთან, მშენებლობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან და კოლმეურნეობებთან მჭიდრო კავშირში.

ქალაქის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები მოქმედებენ საწარმოებისა და ორგანიზაციების ბაზაზე, ხოლო სოფლის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები—კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სარემონტო-ტექნიკური სადგურების და სასოფლო-სამეურნეო წარმოების სხვა საწარმოთა ბაზაზე, ამასთან ახორციელებენ კვალიფიციურ მუშათა კადრების და სოფლის მეურნეობის მშრომელთა მომზადებას სახალხო მეურნეობის გეგმის შესაბამისად.

**მუხლი 25.** გარდაიქმნას შრომითი რეზერვების სამთამადნო მრეწველობის სკოლები, სახელოსნო, სარკინიგზო, სამშენებლო, ტექნიკური სასწავლებლები და სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებლები, სახალხო მეურნეობის საბჭოს და უწყებების საფაბრიკო-საქარხნო მოწაფეობის სკოლები და სხვა პროფესიული სასწავლებლები ქალაქის დღისა და საღამოს პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებად სწავლების ვადით ერთიდან სამ წლამდე და სოფლის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლად სწავლების ვადით ერთიდან ორ წლამდე.

არსებული პროფესიული სასწავლებლების გადაკეთება ქალაქისა და სოფლის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებად ჩატარდეს 3—5 წლის განმავლობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მუხლი 26.** იმ მიზნით, რომ თანდათანობით იქნან გადაყვანილი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები ნაწილობრივ თვითანაზღაურებაზე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შეიმუშაოს და თანმიმდევრულად განახორციელოს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების გაფართოებისა და საწარმოო საქმიანობისაგან მათი შემოსავლიანობის გადიდების ღონისძიებანი, რისთვისაც მიეცეთ მათ რენტაბელური საწარმოო შეკვეთები, გამოეყოთ საჭირო მიწის ფართობები სასწავლო მეურნეობებისათვის, დამატებით იქნან აღჭურვილი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები სასწავლო-საწარმოო სახელოსნოებით, თანამედროვე მოწყობილობით და ა. შ.

მშრომელთა მატერიალური უზრუნველყოფის ზრდასთან დაკავშირებით, იმ მიზნით, რომ გადიდდეს მოსწავლეთა დაინტერესებულობა შესწავლილი პროფესიის უკეთ დაუფლების საქმეში, მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული, რომ შეიცვალოს მოსწავლეთა მატერიალური უზრუნველყოფის არსებული პირობები, შემოღებულ იქნას მოსწავლეთათვის ხელფასის გადახდა უფასო ტანსაცმლისა და კვების ნაცვლად. სრული სახელმწიფო უზრუნველყოფა შეუნარჩუნდეთ ობოლ მოსწავლეებს, საბავშო სახლების აღსაზრდელებს და მრავალშვილიანი მშობლების შვილებს.

რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს გამოჰყონ შესაბამისი სახსრები კოლმეურნე ახალგაზრდობის სწავლებისათვის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში.

**მუხლი 27.** საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ, სამინისტროებმა და უწყებებმა, საწარმოებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა უზრუნველყონ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები თანამედროვე საწარმოო მოწყობილობით სასწავლო სახელოსნოებისა და ლაბორატორიებისათვის და მიწის ნაკვეთებით სასწავლო მეურნეობისათვის, დაუთმონ ფასიანი სამუშაო ადგილები საწარმოებსა და ორგანიზაციებში საწარმოო პრაქტიკისათვის, უზრუნველყონ სასწავლებლები საწარმოო შეკვეთებით, აგრეთვე ამ შეკვეთების შესასრულებლად საჭირო მასალებითა და ინსტრუმენტებით, შექმნან პირობები სასწავლო პროცესის წარმატებით ჩატარებისა და იმისათვის, რომ ახალგაზრდობამ აითვისოს ახალი ტექნიკა, მოწინავე ტექნოლოგია და შრომის მაღალნაყოფიერი ხერხები.

**მუხლი 28.** დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შეიმუშაოს და განახორციელოს ამ კანონიდან გამომდინარე ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ იმას, რომ:

ა) შემდგომი განვითარება ჰპოვოს პროფესიულ-ტექნიკურმა სასწავლებლებმა მუშათა კადრებზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებისა და იმ ახალგაზრდობის არსებული კონტინგენტის გათვალისწინებით, რომელიც პროფესიულ-ტექნიკურ სწავლებას საჭიროებს;

ბ) ტექნიკუმებსა და რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში მომზადებულ იქნან საწარმოო სწავლების ოსტატები და მასწავლებლები პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისათვის;

გ) მნიშვნელოვნად გადიდეს დედანზე სახელმძღვანელოებისა და დამხმარე წიგნების გამოცემა პროფესიულ-ტექნიკური სწავლებისათვის, გაფართოვდეს სასწავლო-ტექნიკური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების წარმოება, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში ფართოდ იქნას გამოყენებული აგრეთვე რადიო, ტელევიზია და სხვა თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებანი;

დ) განტკიცდეს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების სასწავლო-მატერიალური ბაზა, ამასთან გათვალისწინებულ იქნას სასწავლო შენობების, საწარმოო სახელოსნოებისა და საერთო საცხოვრებლების მშენებლობის გაფართოება.

**მუხლი 29.** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შეიმუშაოს პროფესიული სწავლებისა და რვაწლიანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების და საწარმოო სწავლების მქონე საშუალო სკოლების კურსდამთავრებული ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის პერსპექტიული და წლიური გეგმები, ამასთან იქონიოს მხედველობაში სამუშაოზე ახალგაზრდობის მიღების ჯავშნის დაწესება საწარმოებში და შრომისა და უსაშიშროობის ტექნიკის წესების მტკიცედ დაცვა.

**მუხლი 30.** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მუშათა მომზადების ძირეულად გაუმჯობესებას ინდივიდუალურ-ბრიგადული და კურსობრივი სწავლების, აგრეთვე წარმოებაში დასაქმებულ მუშათა კადრების კვალიფიკაციის ამაღლების გზით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კარი III

## საშუალო სპეციალური განათლების შესახებ

**მუხლი 31.** სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, აგრეთვე კულტურის, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებში მნიშვნელოვანი ადგილი ეკუთვნის ტექნიკოსებს, როგორც წარმოების უშუალო ორგანიზატორებს, და სხვა საშუალო სპეციალური განათლების მქონე მუშაკებს.

თანამედროვე წარმოების ინტერესები, რომლებიც ემყარება მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევებს, ტექნიკუმების კურსდამთავრებულთაგან მოითხოვს თეორიული მომზადების მაღალ დონეს და პრაქტიკის კარგ ცოდნას.

ამის შესაბამისად საჭიროდ ჩაითვალოს საშუალო სპეციალური განათლების სისტემის შემდგომი სრულყოფა და საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადების გაუმჯობესება საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომასთან სწავლების მჭიდრო კავშირის და საღამოს და დაუსწრებელი სწავლების ფართო განვითარების საფუძველზე.

**მუხლი 32.** სპეციალისტთა მომზადება საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში განხორციელდეს რვაწლიანი სკოლის ბაზაზე, ხოლო ცალკეულ სპეციალობაში — სრული საშუალო განათლების ბაზაზე.

**მუხლი 33.** მიზანშეწონილად იქნას ცნობილი საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადებისას სწავლებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზაციის შემდეგი ფორმების გამოყენება სპეციალობისა და შრომის პირობების მიხედვით:

ა) წარმოებისაგან მოუწყვეტლივ საღამოს და დაუსწრებელი სწავლების საშუალებით;

ბ) წარმოებისაგან მოწყვეტით და მოუწყვეტლივ სწავლების სხვადასხვა პერიოდში წარმოების თავისებურებათა გათვალისწინებით.

გ) წარმოებისაგან მოწყვეტით და სასწავლებლებში მიღებული თეორიული ცოდნის შეხამებით სახალხო მეურნეობის, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის სხვადასხვა დარგის საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში წარმოებულ მუშაობასთან.

დაწესდეს, რომ საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მიღებულმა სწავლამ საშუალო სკოლის მოცულობის ზოგადსაგანმა-

ნათლებლო ცოდნასთან ერთად მოსწავლეები უნდა უზრუნველყონ იმით, რომ მიიღონ საჭირო თეორიული და პრაქტიკული მომზადება სპეციალობის მიხედვით, ხოლო ტექნიკურ და სასოფლო-სამეურნეო საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში—აგრეთვე კვალიფიკაცია მუშათა ერთ-ერთი პროფესიის თანრიგის მიკუთვნებით დადგენილი წესით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მუხლი 34.** მიზანშეწონილად ჩაითვალოს მოეწყოს ინდუსტრიულ ტექნიკუმებთან საამქროები და სახელოსნოები, რომლებიც მოსწავლეთა ძალებით გამოუშვებენ სამრეწველო პროდუქციას, ხოლო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებთან—მსხვილი მეურნეობანი, რომლებშიც ყველა ძირითად სამუშაოს თვით მოსწავლეები შეასრულებენ.

**მუხლი 35.** საშუალო სპეციალური განათლების გარდაქმნა განხორციელდეს 3—5 წლის განმავლობაში, დაწყებული 1959—1960 სასწავლო წლიდან. 1958 წელს და უფრო ადრე საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში ჩარიცხულ მოსწავლეებს, აგრეთვე საშუალო განათლების მქონე პირთ, რომელნიც შევლენ აღნიშნულ სასწავლებლებში 1959—1960 სასწავლო წელს, მიეცეთ იმის შესაძლებლობა, რომ დაამთავრონ სასწავლებლები მოქმედი სასწავლო გეგმებით, ამასთან გაძლიერდეს მომავალი სპეციალისტების პრაქტიკული მომზადება.

1959—1960 სასწავლო წლიდან ახალი სასწავლო გეგმებით სწავლება მოეწყოს იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც შედიან საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში შვიდი კლასის, აგრეთვე შემდგომში ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური სკოლის რვა კლასის დამთავრების შემდეგ.

**მუხლი 36.** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შეიმუშაოს და განახორციელოს ამ კანონიდან გამომდინარე ღონისძიებანი საშუალო სპეციალური განათლების განვითარებისათვის, ამასთან გაითვალისწინოს:

ა) საშუალო სპეციალური სასწავლებლების ქსელის მოწესრიგება, მათი დაახლოება წარმოებასთან, ამასთან მხედველობაში მიიღოს საქართველოს სსრ მოთხოვნილება კადრებზე, ფართოდ განახორციელოს სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების კოოპერირება საშუალო სპეციალობის განათლების მქონე სპეციალისტების მომზადებაში;

ბ) დაუსწრებელი და საღამოს განათლების, როგორც სპეციალისტთა მომზადების ძირითადი ფორმის, გაფართოება და გაუმჯობესება, დაუსწრებელი და საღამოს ტექნიკუმების განმტკიცების

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზით, აგრეთვე დაუსწრებელი და სალამოს განყოფილებების მოწყობის გზით სტაციონარულ საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში, რომელთაც ჰყავთ მასწავლებელთა კვალიფიციური კადრები და აქვთ შესაბამისი სასწავლო-მატერიალური ბაზა; პირობების შექმნა დაუსწრებელთათვის სასწავლო-მეთოდური დოკუმენტაციის გამოსაცემად;

გ) საშუალო სპეციალური სასწავლებლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცება, არსებული და ახლად შექმნილი იმ სასწავლო-საწარმოო სახელოსნოების, ლაბორატორიებისა და სასწავლო კაბინეტების მოწყობილობით შევსება, რომლებიც უზრუნველყოფენ სპეციალისტების მაღალხარისხოვან მომზადებას სასწავლებლებში არსებულ ყველა სპეციალობაში;

დ) საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტების მომზადებისას კინოს, რადიოს, ტელევიზიისა და სხვა თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური საშუალებების ფართო გამოყენების უზრუნველყოფა;

ე) ტექნიკუმის მოსწავლეთა უზრუნველყოფა—წარმოებისაგან მოუწყვეტლივ სწავლების პერიოდში—საწარმოებში, მშენებლობებზე და დაწესებულებებში ხელფასიანი საშუალო ადგილებით, აგრეთვე მათთვის ადგილების გამოყოფა სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის გასავლელად.

## კ ა რ ი IV

### უმაღლესი სკოლის შესახებ

**მუხლი 37.** კომუნისტური მშენებლობის ამოცანები მოითხოვენ უმაღლესი სკოლის დაახლოებას ცხოვრებასთან, წარმოებასთან, სპეციალისტების მომზადების თეორიული დონის ამაღლებას მეცნიერებისა და ტექნიკის უახლოეს მიღწევათა შესაბამისად. უმაღლესი განათლების სისტემის შემდგომმა განვითარებამ და სრულყოფამ საქართველოს სს რესპუბლიკაში უნდა უზრუნველყოს სპეციალისტების უკეთესი პრაქტიკული და თეორიული მომზადება, ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის მნიშვნელოვანი ამაღლება, ყველა მასწავლებლის აქტიური მონაწილეობა სტუდენტების აღზრდაში.

უმაღლესი სკოლის მთავარი ამოცანებია:

მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების საფუძველზე აღზრდილი მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომელნიც და-

უფლებული იქნებიან საბჭოთა და უცხოეთის მეცნიერებისა და ტექნიკის უახლოეს მიღწევებს, კარგად ეცოდინებათ პრაქტიკა, უნარი ექნებათ არა მარტო მთლიანად გამოიყენონ თანამედროვე ტექნიკა, არამედ შექმნან კიდეც მომავლის ტექნიკა.

ბიბლიოთეკა

მეცნიერულ-კვლევით სამუშაოთა შესრულება, რომელნიც ხელს უწყობენ კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადაჭრას;

სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადება;

სახალხო მეურნეობის, კულტურისა და განათლების სხვადასხვა დარგში დასაქმებულ სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლება;

მეცნიერული და პოლიტიკური ცოდნის გავრცელება მშრომელებში.

**მუხლი 38.** სპეციალისტების მომზადება უმაღლეს სასწავლებლებში განხორციელდეს სრული საშუალო განათლების ბაზაზე და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომასთან სწავლების შეერთების საფუძველზე. პრაქტიკასთან და შრომასთან სწავლების შეერთების კონკრეტული ფორმები უნდა განისაზღვროს უმაღლესი სასწავლებლის, ფაკულტეტის პროფილისა და სტუდენტთა შემადგენლობის მიხედვით, აგრეთვე რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების თავისებურებათა მიხედვით.

უმაღლეს სასწავლებლებში მიღება უნდა ხდებოდეს იმ დახასიათებათა საფუძველზე, რომლებსაც გასცემენ პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა ორგანიზაციები, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, კოლმეურნეობათა გამგეობები, სკოლების პედაგოგიური საბჭოები, რათა უმაღლეს სასწავლებლებში საკონკურსო შერჩევის გზით ჩაირიცხონ ყველაზე ღირსეული, მომზადებული და ნიჭიერი ადამიანები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს წარმოებაში.

უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვის დროს უპირატესობა მიეცეთ იმ პირთ, რომელთაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის სტაჟი.

საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა, კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებმა და კოოპერაციულმა ორგანიზაციებმა უნდა შექმნან საჭირო პირობები უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელ ახალგაზრდა მუშათა და კოლმეურნეთა მომზადებისათვის.

**მუხლი 39.** ინჟინერთა მომზადების დროს სწავლების შეხამება შრომასთან ისე უნდა მოეწყოს, რომ სტუდენტთა საწარმოო შრომა ხელს უწყობდეს მათი მომავალი სპეციალობის უკეთ დაუფლებას და აძლევდეს მათ შესაძლებლობას თანმიმდევრობით შეის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წავლონ წარმოების ტექნოლოგიური პროცესი. ამ მიზნით სპეციალობათა მეტი წილისათვის უფრო მიზანშეწონილია სწავლება შეთავსდეს მუშაობას წარმოებაში პირველ ორ კურსზე საღამოს ან დაუსწრებელი განათლების სისტემის მიხედვით.

მთელი რიგი სპეციალობებისათვის, რომლებთანაც დაკავშირებულია სტუდენტთა დიდი ლაბორატორიული პრაქტიკა, მიზანშეწონილია პირველ 2—3 წელს სწავლება მიმდინარეობდეს წარმოებისაგან მოწყვეტით. ამის შემდეგ საჭიროა გათვალისწინებულ იქნას სტუდენტთა პრაქტიკული მუშაობა ერთი წლის განმავლობაში ხელფასიან თანამდებობებზე უშუალოდ წარმოებაში, ლაბორატორიებსა და საკონსტრუქტორო ბიუროებში.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ, სამინისტროებმა და უწყებებმა დახმარება უნდა გაუწიონ უმაღლეს სასწავლებლებს ლაბორატორიების, კაბინეტებისა და სახელოსნოების მოწყობაში, სტუდენტთა საწარმოო სწავლების ორგანიზაციებში.

უმაღლესი ტექნიკური განათლების განვითარებაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ახალი ტექნიკის დარგებისათვის ინჟინერთა კადრების მომზადებას რესპუბლიკაში მეცნიერული და საპროექტო-საკონსტრუქტორო მუშაობის შემდგომი განვითარებისათვის.

**მუხლი 40.** სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა მომზადების დროს სწავლება უნდა მოეწყოს მსხვილი საბჭოთა მეურნეობების ბაზაზე ორგანიზებულ, მძლავრი სანიმუშო სასწავლო მეურნეობის მქონე ინსტიტუტებში, სადაც სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები სტუდენტთა ძალებით სრულდება. სპეციალისტთა მომზადებას უნდა ჰქონდეს გარკვეული მიმართულება, საქართველოს სსრ პირობების შესაბამისად, ხოლო სწავლების შეხამება ნაყოფიერ შრომასთან უნდა ხდებოდეს წარმოების სეზონურობის გათვალისწინებით.

**მუხლი 41.** საჭიროდ იქნას მიჩნეული საუნივერსიტეტო განათლების შემდგომი განვითარება, სტუდენტთა თეორიული და პრაქტიკული მომზადების გაძლიერება, მათემატიკის, ბიოლოგიის, ფიზიკის, ქიმიის მეცნიერებათა ახალი დარგების სპეციალისტთა გამოშვების მნიშვნელოვანი გადიდება.

ამაღლდეს თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის როლი ბუნებისმეტყველების და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაჭრაში, სკოლებისათვის მაღალკვალიფიციური მასწავლებლების მომზადებაში.

უნივერსიტეტის დაკომპლექტება და იქ სწავლების შრომასთან შეხამება უნდა მოეწყოს ისე, რომ სტუდენტები სწავლების

პროცესში იღებდნენ მუშაობის ჩვევებს სპეციალობის მიხედვით, ხოლო ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სპეციალისტებს (ეკონომისტებს, ფილოსოფოსებს, იურისტებსა და სხვ.), გარდა ამისა, ჰქონდეთ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის გარკვეული გამოცდილება.

**მუხლი 42.** საჭიროდ იქნას მიჩნეული მასწავლებელთა მომზადების გაუმჯობესება პედაგოგიურ ინსტიტუტებსა და თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მოეწყოს აგრონომიის, მეცხოველეობის, ტექნიკისა და სხვა სპეციალურ დისციპლინათა მასწავლებლების მომზადება; პედაგოგიურ ინსტიტუტებში გაფართოვდეს დაწყებითი სკოლების მასწავლებელთა მომზადება, ამასთან მხედველობაში იქნას მიღებული, რომ შემდგომ მთლიანად დამთავრდეს ყველა სკოლის დაკომპლექტება უმაღლესი განათლების მქონე მასწავლებლებით. ამაღლდეს სწავლების სამეცნიერო-თეორიული დონე პედაგოგიურ ინსტიტუტებში; გაძლიერდეს საწარმოო და პედაგოგიური პრაქტიკის მნიშვნელობა მასწავლებელთა მომზადებაში; იმ უმაღლესი სასწავლებლების დაკომპლექტების დროს, რომლებიც მასწავლებლებს ამზადებენ, გათვალისწინებულ იქნას მასწავლებლის პროფესიის სპეციფიკური თავისებურებანი; ამაღლდეს სკოლების როლი მომავალ მასწავლებელთა შერჩევაში; პედაგოგიურ ინსტიტუტებში მიღებულ იქნან უპირატესად ის პირნი, რომლებსაც აქვთ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომის გარკვეული გამოცდილება, განსაკუთრებით ბავშვებთან მუშაობის გამოცდილება.

**მუხლი 43.** თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტებში ექიმების მომზადების დროს გათვალისწინებულ იქნას ექიმთა პროფესიის სპეციფიკური მოთხოვნანი, სამედიცინო ინსტიტუტი უპირატესად იმ ახალგაზრდებიდან დაკომპლექტდეს, რომელთაც აქვთ დაბალი მომსახურე პერსონალის სამედიცინო და სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში მუშაობის პრაქტიკული სტაჟი; სტუდენტთა სწავლება შეხამებულ იქნას განუწყვეტელ პრაქტიკასთან სამკურნალო-პროფილაქტიკურ და სანიტარულ-ჰიგიენურ დაწესებულებებში.

იმ პირთათვის, რომლებსაც აქვთ საშუალო სამედიცინო განათლება და პრაქტიკული მუშაობის სტაჟი სპეციალობის მიხედვით, მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული, რომ სწავლება სამედიცინო ინსტიტუტში მოეწყოს მუშაობისაგან მოუწყვეტლივ.

**მუხლი 44.** სპეციალისტების მომზადება კულტურისა და ხელოვნების უმაღლეს სასწავლებლებში წარმოებულ იქნას ზოგადი, აგრეთვე სპეციალური საშუალო განათლების ბაზაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუსიკის, ფერწერის, თეატრალური და სხვა სახეობის ხელოვნების დარგის უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტთა მომზადების დროს ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული წარმოებისაგან მოუწყვეტლივ სწავლების სისტემა, რათა ამ განათლების მიღების შესაძლებლობა მიეცეთ მშრომელთა ფართო წრეებს და ხელი შეეწყოს ტალანტების გამოვლინებას ხალხიდან.

საჭიროდ ჩაითვალოს, რათა კულტურისა და ხელოვნების უმაღლეს სასწავლებლებში გაფართოვდეს სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების კვალიფიციური მასწავლებლების, საგუნდო, თეატრალური და სხვა მხატვრული (მათ შორის თვითმოქმედისაც) კოლექტივების ხელმძღვანელების მომზადება.

**მუხლი 45.** უმაღლესი ფიზკულტურული განათლების მქონე სპეციალისტთა მომზადების დროს გაფართოვდეს კადრების მომზადების სისტემა დაუსწრებელი და საღამოს განათლების, ფიზიკური კულტურისა და სპორტის მომუშავე სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების გზით.

გათვალისწინებულ იქნას ფიზიკური კულტურის მასწავლებლების, ინსტრუქტორებისა და მწვრთნელების მომზადების სპეციფიკა სპორტის სახეობათა მიხედვით, და დაკომპლექტდეს საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტი უმთავრესად მაღალი სპორტული მომზადების მქონე ახალგაზრდებით, რომელნიც იჩენენ მიდრეკილებას საწვრთნელი, პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობისადმი; ამაღლდეს ფიზიკური კულტურის მასწავლებელთა და მწვრთნელთა მომზადების პედაგოგიური და საწარმოო პრაქტიკის მნიშვნელობა.

**მუხლი 46.** მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული მოეწყოს უმაღლეს სასწავლებლებში იმ სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტები და განყოფილებები, რომლებსაც უმაღლესი განათლება აქვთ და მუშაობენ მეურნეობისა და კულტურის დარგებში.

მოეწყოს უმაღლეს სასწავლებლებში, რომელნიც მასწავლებლებს ამზადებენ, მასწავლებლების გადასამზადებელი ფაკულტეტები, ამასთან მხედველობაში იქნას მიღებული, რომ შემდგომ შეუნარჩუნდეს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტს მასწავლებლებს შორის მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების განზოგადებისა და გავრცელების ამოცანა და მეთოდური მუშაობის ორგანიზაცია.

**მუხლი 47.** საჭიროდ იქნას მიჩნეული გაუმჯობესდეს უმაღლეს სასწავლებლებში სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზა-

დება ასპირანტურის შეშვეობით. მნიშვნელოვნად გაფართოვდეს დაუსწრებელი ასპირანტურის სისტემა. ასპირანტთა მომზადება მოხდეს არა მარტო სამეცნიერო დაწესებულებებისა და სასწავლებლებისათვის, არამედ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებში სამუშაოდაც.

**მუხლი 48.** გაძლიერდეს სტუდენტთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდა, გაუმჯობესდეს მარქსისტულ-ლენინური თეორიის სწავლება. აღიზარდოს ახალგაზრდობა კომუნისტური მორალის მაღალი პრინციპების, შრომისადმი სიყვარულის, ბურჟუაზიული იდეოლოგიისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით. სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს სტუდენტებში შემეცნების მეცნიერული მეთოდის, მეცნიერების დაუფლებისადმი შემოქმედებითი მიდგომის, სწავლებისადმი პასუხისმგებელი დამოკიდებულების ამაღლებას. ის პირნი, რომლებმაც საბჭოთა უმაღლესი სკოლა დაამთავრეს, უნდა იყვნენ სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულების მაგალითის მაჩვენებლები.

**მუხლი 49.** ამაღლდეს უმაღლეს სასწავლებელთა როლი მეცნიერულ გამოკვლევათა განხორციელებაში, რომლებსაც აქვთ მაღალი თეორიული დონე და დიდი მნიშვნელობა სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებისათვის.

სახალხო მეურნეობის, კულტურისა და განათლების საჭიროებებთან მეცნიერული მუშაობის დაახლოების მიზნით, მნიშვნელოვნად უნდა გაძლიერდეს კავშირი. ერთი მხრივ, უმაღლეს სასწავლებლებსა და, მეორე მხრივ, სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის. ამაღლდეს სახალხო მეურნეობის მართვის ორგანოთა როლი უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერული მუშაობის დაგეგმვაში.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ, სამინისტროებმა და უწყებებმა სისტემატური დახმარება უნდა გაუწიონ უმაღლეს სასწავლებლებს მეცნიერულ გამოკვლევათა რეალიზაციისა და საწარმოო ცდების დაყენების საქმეში.

**მუხლი 50.** მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული, რომ უფრო ფართოდ ჩაებან უმაღლეს სასწავლებელთა პედაგოგიურ მუშაობაში საწარმოთა, მშენებლობათა, საკონსტრუქტორო ბიუროთა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთა ყველაზე კვალიფიციური ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, აგრონომები, მასწავლებლები, ექიმები და სხვა პრაქტიკული მუშაკები, რომლებსაც უნარი შესწევთ სწავლების დროს გამოიყენონ წარმოების მოწინავე მეთოდები და მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მუხლი 51.** სახალხო მეურნეობის საბჭომ, საწარმოებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა მისცენ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებს, მათი განაცხადების შესაბამისად, ხელფასიანი საშტატო სამუშაო ადგილები და ტექნიკური თანამდებობანი სტუდენტებისათვის, უზრუნველყონ სტუდენტთა საწარმოო სწავლება, მათთვის საჭირო საბინაო პირობების შექმნა და სპეცტანსაცმლის მიცემა.

**მუხლი 52.** ამაღლდეს უმაღლეს სასწავლებელთა როლი მოსახლეობაში მეცნიერული და პოლიტიკური ცოდნის გავრცელების საქმეში. მოეწყოს უმაღლესი სასწავლებლების წამყვან მეცნიერთა სისტემატური გამოსვლები საჯარო ლექციებითა და მოხსენებებით მეცნიერულ და პოლიტიკურ თემებზე, უმაღლესმა სასწავლებლებმა გააფართოონ სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის გამოშვება, ფართოდ გამოიყენონ რადიო და ტელევიზია ლექციებისა და მოხსენებებისათვის. პრაქტიკულად განხორციელდეს უმაღლეს სასწავლებლებთან ხელმისაწვდომი ლექტორიუმებისა და სემინარების მოწყობა, სადაც მოქალაქეებს შესაძლებლობა მიეცემათ მიიღონ განსაზღვრული ცოდნა მეცნიერების სხვადასხვა დარგებში.

მოეწყოს უნივერსიტეტსა და პედაგოგიურ ინსტიტუტებში უცხო ენათა საღამოს ფაკულტეტები და განყოფილებები, სადაც მოქალაქენი მუშაობისაგან თავისუფალ დროს შეისწავლიან უცხოენებს.

**მუხლი 53.** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შეიმუშაოს და განახორციელოს ამ კანონიდან გამომდინარე ღონისძიებანი რესპუბლიკაში უმაღლესი განათლების განვითარებისათვის, ამასთან გაითვალისწინოს:

ა) უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტების მომზადების პერსპექტიული დაგეგმვის საქმის გაუმჯობესება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის, კულტურისა და განათლების განვითარების გათვალისწინებით;

ბ) უმაღლეს სასწავლებელთა ქსელის მოწესრიგება, ამასთან მხედველობაში იქონიოს, რომ უმაღლესი სასწავლებლები დაუახლოვდნენ წარმოებას და გაერთიანდნენ ერთი პროფილის უმაღლესი სასწავლებლები;

გ) უმაღლეს სასწავლებელთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოება და განმტკიცება, ლაბორატორიების აღჭურვა უახლესი მოწყობილობით, უმაღლესი სასწავლებლების საერთო საცხოვრებელთა რაოდენობის გაფართოება, სტუდენტთა საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციის გაუმჯობესება;

დ) საღამოს და დაუსწრებელი უმაღლესი განათლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება, რაც უზრუნველყოფს კი-

ნოს, რადიოს, ტელევიზიის და სხვა თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებათა ფართოდ გამოყენებას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) სპეციალიზებული გამომცემლობის შექმნა, რათა დაკმაყოფილებულ იქნას სასწავლო ლიტერატურაზე უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა სტუდენტების მოთხოვნილება, განსაკუთრებით იმ სტუდენტებისა, რომლებიც წარმოებისაგან მოუწყვეტლივ სწავლობენ.

**მუხლი 54.** უმაღლესი განათლების გარდაქმნა საქართველოს სს რესპუბლიკაში განხორციელდეს 3—5 წლის განმავლობაში, დაწყებული 1959—1960 სასწავლო წლიდან.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა და მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასკომმა შეიტანონ საბჭოების სესიების განსახილველად ღონისძიებანი, რომლებიც გამომდინარეობენ ამ კანონიდან და უზრუნველყოფენ ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებას, საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების განხორციელებასა და საშუალო და უმაღლესი განათლების შემდგომ განვითარებას.

* * *

საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს მიაჩნია, რომ ცხოვრებასთან სკოლის დაახლოება შექმნის საჭირო პირობებს მოზარდი თაობის უკეთესი აღზრდისათვის, რომელიც კომუნიზმის დროს იცხოვრებს და იშრომებს.

სახალხო განათლების სისტემის გარდაქმნას უდიდესი მნიშვნელობა ექნება საბჭოთა საზოგადოების შემდგომი მატერიალური და სულიერი განვითარებისათვის, აამაღლებს საბჭოთა სკოლის როლს ახალგაზრდობის განათლებასა და აღზრდაში, უკეთ უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის ყველა დარგისათვის.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო იმედს გამოთქვამს, რომ საქართველოს ყველა მშრომელი სკოლის გარდაქმნის პროგრამას მიიღებს როგორც კომუნისტური მოზარდი თაობის სწავლისა და აღზრდისათვის პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მზრუნველობის ახალ გამოვლინებას და აქტიურად ჩაებმება მისი განხორციელების საქმეში.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე**

**გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი**

**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი. 1959 წ. 18 აპრილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# კ ა ნ ო ნ ი

## საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 134 მუხლში ცვლილებათა შეტანის შესახებ

შესაბამისად კანონისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“ და სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 121 მუხლისა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

შეტანილ იქნას შესაბამისი ცვლილებები საქართველოს სსრ კონსტიტუციის 134 მუხლში და ეს მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 134. საქართველოს სსრ-ის მოქალაქეებს აქვთ განათლების უფლება.

ეს უფლება უზრუნველყოფილია საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი განათლებით, საშუალო ზოგადი პოლიტექნიკური განათლების, პროფესიულ-ტექნიკური განათლების, საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლების ფართოდ განვითარებით ცხოვრებასთან, წარმოებასთან სწავლების კავშირის საფუძველზე, საღამოს და დაუსწრებელი განათლების ყოველნაირი განვითარებით, ყველა სახეობის უფასო განათლებით, სახელმწიფო სტიპენდიების სისტემით, სკოლებში დედა ენაზე სწავლებით, ქარხნებში, საბჭოთა მეურნეობებში და კოლმეურნეობებში მშრომელთა უფასო საწარმოო, ტექნიკური და აგრონომიული სწავლების ორგანიზაციით“.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე გ. ძოწენიძე,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი. 1959 წ. 18 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

## № 423

1959 წლის 30 აპრილი

### ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ კანონთან დაკავშირებულ პრაქტიკულ ღონისძიებათა შესახებ

ვითვალისწინებ რა ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ 1959 წლის 18 აპრილს მიღებული კანონის დიდ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას, ამ კანონიდან გამომდინარე საკითხების პრაქტიკულად განხორციელების უზრუნველსაყოფად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საგეგმო საფინანსო სამმართველომ (ა. კვაჭაძე):

ა) საქართველოს სსრ სტატისტიკურ სამმართველოსთან ერთად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში წარსადგენად ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს პროექტი ინსტრუქციისა იმ ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის შესახებ, რომელთაც საყოველთაო-სავალდებულო სწავლება ეხებათ;

ბ) საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან ერთად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში წარსადგენად ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს პროექტი დებულებისა ხელმოკლე ბავშვებისათვის მატერიალური დახმარების აღმოსაჩენად სკოლებთან საყოველთაო სწავლების ფონდის შექმნის შესახებ, როგორც ბიუჯეტის სახსრების, ისე კოლმეურნეობების, პროფესიული და კოოპერატიული ორგანიზაციების სახსრების, სასკოლო სახელოსნოების, სასწავლო-საცდელო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაკვეთების შემოსავლისა და სხვა საშუალებების ხარჯზე;

გ) განათლების ადგილობრივ ორგანოებთან ერთად დააზუსტოს სასკოლო და სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნოების საჭიროება და უზრუნველყოს მათი მოწყობის დაფინანსება;

დ) გაითვალისწინოს საჭირო თანხები თვალსაჩინო სწავლების გაუმჯობესების მიზნით კინოს, ტელევიზიისა და სხვა თანამედროვე მეცნიერულ—ტექნიკურ საშუალებათა ნაყოფიერად გამოყენების უზრუნველსაყოფად;

ე) განსაზღვროს სასკოლო ინტერნატების საჭიროება და ზუსტად დაგეგმოს მათი ქსელი;

ვ) განათლების ადგილობრივ ორგანოებთან ერთად შეისწავლოს და მოაგვაროს მცირე დასახლებული ადგილებიდან დაშორებულ სკოლებში ბავშვების უფასოდ მიყვანისა და სკოლიდან წაყვანის საკითხი.

2. კადრების განყოფილებამ (ი. კვაჭაძე) დაამუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი ახალი ამოცანების შესაბამისად მასწავლებელთა გადასამზადებლად და მასწავლებელთა კადრებით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დასაკომპლექტებლად, აგრეთვე უახლოეს 2-3 წელიწადში მასწავლებელთა ატესტაციის ჩასატარებლად. დამუშავებულ ღონისძიებათა შესახებ მოახსენოს 1959 წლის 15 ივლისისათვის.

3. სკოლების სამმართველომ (ამხ. გ. საყვარელიძე):

ა) ერთი კვირის ვადაში შეიმუშაოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების პროექტი საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი განათლების შესახებ და განსაზღვროს მასში იმ მშობლებისა და მათი შემცვლელი პირების პასუხისმგებლობა, რომლებიც ხელს შეუშლიან ბავშვთა და მოზარდთა საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიან სწავლებას;

ბ) საგეგმო-საფინანსო სამმართველოსთან ერთად დაგეგმოს ისეთი საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური სკოლების ქსელი, რომლებშიც მთელი რიგი საგნები უცხო ენებზე ისწავლება;

გ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო-საგეგმო კომისიასა, განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველოსა და სახელმძღვანელოებისა და მეთოდიკის განყოფილებასთან ერთად ერთი თვის ვადაში განსაზღვროს პროფესიები, რომელთა მიხედვით უნდა განხორციელდეს საწარმოო სწავლება და მოამზადოს სათანადო პროექტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში წარსადგენად.

4) საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილებამ (ვ. ჩინჩალაძე) ერთი თვის ვადაში წარმოადგინოს ახალი კანონით სკოლების დაწესებული ტიპების შესაბამისად გონებრივად და ფიზიკურად ნაკლებად განვითარებული ბავშვებისა და მოზარდების სკოლების რეორგანიზაციის გეგმა ამ კატეგორიის მოსწავლეთა განვითარების თავისებურებათა გათვალისწინებით.

5. პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა, პედაგოგიურმა ინსტიტუტებმა თავიანთი საქმიანობის განსაკუთრებით მნიშვნელოვან ნაწილად აქციონ სკოლაში სწავლების შინაარსის მეცნიერული საფუძვლების შემუშავება, ბავშვთა და ახალგაზრდობის სწავლების და კომუნისტური აღზრდის მეთოდების სრულყოფა. მეტი ყურადღება მიაქციონ საბჭოთა პედაგოგიკის თეორიის დამუშავებას, სკოლაში პოლიტექნიკური და პროფესიული სწავლების საკითხებს, დადებითი გამოცდილების განზოგადებასა და გავრცელებას.

6. სახელმძღვანელოებისა და მეთოდიკის განყოფილებამ (დ. ჯავახია) და პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტმა (დ. ლორთქიფანიძე) ერთი კვირის ვადაში წარმოადგინონ დასამტკიცებლად ახალი სასწავლო გეგმებისა და პროგრამების პროექტები, აგრეთვე განათლების სამინისტროს სისტემის ყველა ტიპის სკოლების დებულებათა პროექტები.

7. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ (ა. ღადუა) გაატაროს აუცილებელი ღონისძიებანი სახალხო მეურნეობის შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებული ახლადგასახსნელი სკოლა-ინტერნატების მშენებლობის, კაპიტალური რემონტისა და სხვა სამუშაოების დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულების უზრუნველსაყოფად.

8. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რაიონების, ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) სამინისტროს კოლეგიების, სახალხო განათლების საბჭოებისა და ყველა სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე გულდასმით განიხილონ ახალი კანონი და მასწავლებელთა საშუალებით მოსახლეობაში გაშალონ ფართო პროპაგანდა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ყველა მშრომელი კარგად ერკვეოდეს აღნიშნული კანონის არსებაში;

ბ) ორი კვირის ვადაში წარმოუდგინონ სამინისტროს პროექტი სასწავლო წლის დაწყების, დამთავრებისა და არდადეგების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვადების შესახებ სოფლის სკოლებში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა სეზონების გათვალისწინებით:

გ) დასახონ და განახორციელონ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ყოველმხრივ გაუმჯობესების, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და პატრიოტიზმის, სამშობლოსა და ხალხისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით მოსწავლეთა აღზრდის ღონისძიებანი;

დ) უზრუნველყონ, რათა სკოლები მოსწავლეებს უნერგავდნენ სკოლაში, ოჯახსა და საზოგადოებრივ ადგილებში კულტურული ქცევის ჩვევებს;

ე) გააუმჯობესონ პედაგოგიური პროპაგანდა მოსახლეობის ფართო ფენებში, მიაღწიონ ბავშვთა აღზრდის საქმეში მშობელთა პასუხისმგებლობის ამაღლებას;

ვ) ახალი სასწავლო წლიდან გააუქმონ უცხო ენების სწავლება იმ სკოლებში, რომლებშიც საამისო პირობები არ არის; შემდგომში არ დაუშვან, რომ უცხო ენას ასწავლიდეს არასპეციალისტი, თუ კი იგი სრულყოფილად არ ფლობს ამა თუ იმ უცხო ენას;

ზ) უზრუნველყონ სახალხო მეურნეობის გეგმის მიხედვით საწარმოო სწავლებაზე გადასაყვანი IX კლასებისათვის სათანადო ბაზების მომზადება;

თ) ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებთან ერთად მკაცრი კონტროლი განახორციელონ მოსწავლეთა შრომისა და დასვენების სწორ მონაცვლეობაზე; არ დაუშვან მათი გადატვირთვა სწავლით, საზოგადოებრივი მუშაობითა და შრომითი საქმიანობით. განახორციელონ კონტროლი შრომისა და უსაფრთხოების ტექნიკის წესების დაცვაზე ყველგან, სადაც მოსწავლეებს შრომა უხდებათ. მიიღონ საჭირო ზომები მოსწავლეთა ჯანმრთელობის განსამტკიცებლად. ამ მუშაობაში ფართოდ მიიზიდონ საზოგადოებრივი ორგანიზაციები;

ი) შეადგინონ მრავალცვლიანი მეცადინეობის ლიკვიდაციისა და საწარმოო სწავლების ორგანიზაციის ოპერატიული გეგმები და გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი მათი შესრულების უზრუნველსაყოფად;

კ) მიაღწიონ სკოლებთან გახანგრძლივებული დღის ჯგუფების რაოდენობის მკვეთრ ზრდას.

9. პედაგოგიური ინსტიტუტებისა და სასწავლებლების სამმართველომ (ამხ. ი. გვერდწითელი):

ა) გეგმის შესაბამისად უზრუნველყოს აგრონომიის, მეცხოველეობის, ტექნიკისა და სხვა სპეციალურ დისციპლინათა მასწავლებლების მომზადება პედაგოგიურ ინსტიტუტებში;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ) გააფართოვოს დაწყებითი სკოლების მასწავლებელთა მომზადება;

გ) გააძლიეროს საწარმოო და პედაგოგიური პრაქტიკა მასწავლებელთა მომზადებაში;

დ) მოაწყოს პედაგოგიურ ინსტიტუტებში მასწავლებელთა გადასამზადებელი ფაკულტეტები კადრების განყოფილების მოთხოვნილების შესაბამისად;

ე) გაატაროს ღონისძიებანი სამეცნიერო პედაგოგიური კადრების მომზადების გასაუმჯობესებლად ასპირანტურის გზით და გაზარდოს დაუსწრებელი ასპირანტურის მიღების გეგმა;

ვ) უზრუნველყოს პედაგოგიურ მუშაობაში კვალიფიციური პრაქტიკული მუშაკების ჩაბმა, რომლებსაც უნარი შესწევთ სწავლების დროს ნაყოფიერად გამოიყენონ სკოლის გამოცდილება;

ზ) მოაწყოს პედაგოგიურ ინსტიტუტებში ხელმისაწვდომი ლექტორიუმები და სემინარები;

ი) ზოგიერთ პედაგოგიურ ინსტიტუტებში მოაწყოს უცხო ენათა განყოფილებები და კურსები, სადაც მოქალაქენი მუშაობისაგან თავისუფალ დროს შეისწავლიან უცხო ენებს.

10. მინისტრის მოადგილემ ამხ. თ. ზახაშვილმა ათი დღის ვადაში წარმოადგინოს განსახილველად კანონის შესაბამისად განათლების სამინისტროს აპარატის სტრუქტურაში გასატარებელი ცვლილებების პროექტი.

საქართველოს სსრ განათლების
მ ი ნ ი ს ტ რ ი                    გ. ჯიბლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

### განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფესიული კავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის

# დადგენილება

1959 წლის 23 მარტი

### საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში მოსწავლეთა ჩაბმისათვის თელავის რაიონის ფშავლის საშუალო სკოლაში ჩატარებული მუშაობის შესახებ

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია აღნიშნავენ, რომ თელავის რაიონის ფშავლის საშუალო სკოლის მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადამ (სკოლის დირექტორი გ. როსტომოვი, ბრიგადირი მასწ. ა. ბარხუდანაშვილი) მოსწავლეთა შრომითი აღზრდის საქმეში მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა.

გასულ სამეურნეო წელს მიღებული ყველა საწარმოო დავალება ბრიგადამ გადაჭარბებით შეასრულა. ასე, მაგალითად:

| | | | |
|---|---|---|---|
| პურის ყანის გასუფთავება | გეგმით 80 ჰა, | შესრულდა — | 90 ჰა |
| სიმინდის მოსავლის აღება | „ 16 ჰა, | „ | 25 ჰა |
| სილოსის ჩადება | „ 100 ტონა, | „ | 150 ტ. |
| თივის შეგროვება-დადგმა | „ 100 ტონა, | „ | 150 ტ. |
| ვარდის მოკრეფა | „ 4 ტონა, | „ | $4^1/_2$ ტ. |
| წიწილების გამოზრდა | „ 200 ფრთა, | „ | 221 ფრ. |

და ა. შ.

გასული სამეურნეო წლის მანძილზე ბრიგადის სამმა რგოლმა გამოიმუშავა 3263 შრომადღე; ამავე ბრიგადის წევრთა და სკოლის სხვა მოსწავლეთა მონაწილეობით შაბათობებზე კოლმეურნეობებში გამომუშავებულია 1705 შრომადღე. ამას ემატება გამოსაშვები კლასის მოსწავლეების მიერ გამომუშავებული 1300 შრომადღე.

საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწიეს საწარმოო ბრიგადის წევრებმა გ. ბარხუდანაშვილმა, თ. წიქარაძემ, მ. აქიმიძემ, ი. ზეწუნაიძემ, შ. ხაჩიძემ, ნ. ბუჟაიძემ, ნ. ბიჩელაშვილმა, მ. მჭედლიშვილმა და სხვებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II რგოლის წევრმა IX კლასელმა ნელი ბიჩელაშვილმა გამოიმუშავა 131 შრომადღე; გარდა ამისა ნორჩ ნატურალისტთა წრეში 4 წლის მუშაობის შედეგად გამოიყვანა ხორბლის ახალი ჯიში „პიონერული" (რომელიც მიიღო პოლონური და ადგილობრივი თავთუხის შეჯვარებით). ხორბლის ეს ახალი ჯიში კოლმეურნეობამ მოიწონა და გაითვალისწინა მისი გავრცელება. ნ. ბიჩელაშვილი გაგზავნილ იქნა ქ. მოსკოვში მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების წევრთა საკავშირო შეკრებაზე.

II რგოლის წევრმა IX კლასელმა მართა მჭედლიშვილმა გამოკვება 4 გრამი აბრეშუმის ჭია და 10 კგ. პარკის ნაცვლად მიიღო 24 კგ; რისთვისაც დაჯილდოებულ იქნა 900 მანეთით; მანვე გაპიროვნებულ მიწის ნაკვეთზე 1750 კგ. ნაცვლად მიიღო 2425 კგ. სიმინდი, რისთვისაც ჯილდოს სახით მიიღო 225 კგ. სიმინდი. მოსწავლე მჭედლიშვილი მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების პირველი რესპუბლიკური შეკრების მონაწილეა.

საწარმოო ბრიგადის წევრმა VIII კლასელმა სწავლის ხუთოსანმა ნაზო ბუჟაიძემ გაპიროვნებულ ნაკვეთზე 2500 კილოგრამი სიმინდის ნაცვლად მიიღო 2800 კგ., რისთვისაც მიეცა ჯილდოთ 100 კგ. სიმინდი.

საწარმოო ბრიგადაში მტკიცედაა დაცული მოსწავლეთა შრომის რეჟიმისა და ანაზღაურების შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 6 ივნისის (№ 373) დადგენილებით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა.

ფშავლის საშუალო სკოლის მოსწავლეთა მიერ შაბათობებზე გამომუშავებული შრომადღეების ღირებულება 40000 მანეთის რაოდენობით მთლიანად გადაირიცხება კომკავშირულ ყულაბაში. დანარჩენი შრომადღეების ღირებულება უნაზღაურდება საწარმოო ბრიგადის თითოეულ წევრს გამომუშავებული შრომადღეების შესაბამისად.

საწარმოო ბრიგადის წევრებს მუშაობა უხდებოდათ ფშავლის, ლალისყურისა და ლეჩურის კოლმეურნეობათა ფართობებში (მოსწავლეთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით).

აღნიშნული კოლმეურნეობებიდან სკოლისადმი დახმარების გაწევით განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ფშავლის მე-18 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ამხ. პ. კერვალიშვილი),

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელმაც სკოლას გადასცა 6-ოთახიანი შენობა (რის შედეგადაც სკოლა ერთცვლიან მეცადინეობაზე გადავიდა), ჩაუტარა სკოლის შენობას კაპიტალური რემონტი, შეუღობა ეზო ხის მესერით, ააშენა სკოლის ეზოში საწიწილე და საცდელ ნაკვეთზე 2 კვალსათბური, შეუძინა პიანინო, სპორტული ინვენტარი და სახელოსნოსათვის ხელსაწყო-იარაღები.

მიმდინარე სამეურნეო წელს ფშავლის საშუალო სკოლის მოსწავლეებს დასამუშავებლად გამოყოფილი აქვთ 5 ჰა ახალშენი ვენახი, 4 ჰა სიმინდის საყანე და 1,5 ჰექტარი ეთერზეთოვანი კულტურებისათვის. მათსავე საწარმოო დავალებაში შედის გერანისა და რეჰანის ჩითილების გამოყვანა და ინკუბატორის 400 წიწილის გამოზრდა. ამჟამად საგაზაფხულო სამუშაოები მოსწავლეებს უკვე დაწყებული აქვთ.

საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში მოსწავლეთა ფართო მონაწილეობის შედეგად ფშავლის საშუალო სკოლაში მნიშვნელოვნად განმტკიცდა მოსწავლეთა შეგნებული დისციპლინა, შემცირდა უმიზეზოდ გაკვეთილების გაცდენისა და დაგვიანების შემთხვევები. ამაღლდა მოსწავლეთა აკადემიური წარმატების დონე. საწარმოო ბრიგადის 122 წევრმა კარგად შეუთავსა მეცადინეობა საზოგადოებრივ შრომას, არცერთს მათგანს არ მიუღია „3"-ზე ნაკლები შეფასება.

ფშავლის სკოლის მოსწავლეებში შრომითი ჩვევების დანერგვას დიდად უწყობს ხელს სკოლის ნორჩ ნატურალისტთა წრეების (ხელმძღვანელები მასწავლებლები ნინო ხარშილაძე და ნინო ოამაზაშვილი) ნაყოფიერი მუშაობა, სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე და სახელოსნოებში მოსწავლეთა შრომის კარგი ორგანიზაცია და სხვ.

ფშავლის სკოლის ნორჩ ნატურალისტთა წრეები, წრის ხელმძღვანელები და ცალკეული მოსწავლეები (33 მოსწავლე) სამჯერ იყვნენ წარდგენილი და დამტკიცებულნი საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეებად და სამჯერვე დაჯილდოვდნენ მედლებითა და სიგელებით.

ფშავლის საშუალო სკოლაში ყოველწლიურად ეწყობა ნორჩ ნატურალისტთა წრეების მუშაობის ამსახველი გამოფენა. ამჟამად გამოფენაზე ფართოდ არის ექსპონირებული ნორჩ ნატურალისტთა წრეებისა და საწარმოო ბრიგადის წევრთა მიერ მიღებული სხვადასხვა კულტურების მოსავლის ნიმუშები, გაფორმებულია მრავალი სტენდი, ალბომი, დიაგრამები და სხვ.

აღნიშნული გამოფენა დაათვალიერა თელავისა და სხვა რაიონების 280-ზე მეტმა მასწავლებელმა და სკოლის სხვა მუშაკმა.

საწარმოო ბრიგადას სისტემატურად უწევენ დახმარებას სკოლის ადმინისტრაცია, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი და განათლების სამინისტრო ადგენენ:

მოწონებულ იქნას სწავლების მწარმოებლურ შრომასთან შეერთების საქმეში ფშავლის საშუალო სკოლის გამოცდილება; დაევალოს სოფელ ადგილებში მდებარე ყველა შვიდწლიანი და საშუალო სკოლის დირექტორებსა და პროფკავშირის ადგილკომის თავმჯდომარეებს პედაგოგიური საბჭოს სხდომებსა და პროფკავშირის წევრთა საერთო კრებებზე განიხილონ ეს დადგენილება და ფშავლის საშუალო სკოლის მუშაობის გამოცდილება დანერგონ თავიანთი მუშაობის პრაქტიკაში.

განათლების, უმაღლესი სკოლისა
და სამეცნიერო დაწესებულებების
მუშაკთა პროფესიული კავშირის
რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე **ლ. მაღლაფერიძე**

საქართველოს სსრ
განათლების მინისტრი
**გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბრძანება

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

## № 314

1959 წლის 1 აპრილი

**კოჯრის სკოლა-ინტერნატში შექმნილი მდგომარეობის შესახებ გაზეთ „მოლოდოი სტალინეცის“ 1959 წლის 26 მარტის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში აღნიშნული ფაქტების შემოწმების შედეგების შესახებ**

აღვნიშნავ, რომ კოჯრის სკოლა-ინტერნატში შექმნილი მდგომარეობის შესახებ გაზეთ „მოლოდოი სტალინეცის“ მიერ 1959 წლის 26 მარტს გამოქვეყნებულ წერილში მოყვანილი ფაქტები ადგილზე შემოწმებით ძირითადად დადასტურდა.

სკოლა-ინტერნატში დღემდე არ არის მოგვარებული აღსაზრდელთა მოვლა-პატრონობის საქმე. დირექციამ სათანადოდ ვერ მოამზადა დაწესებულება კოჯრისათვის დამახასიათებელი მკაცრი ზამთრისათვის; არ არის გატარებული სათანადო ღონისძიებანი აღსაზრდელთა ხელ-ფეხის მოყინვის თავიდან ასაცილებლად. ამითაა გამოწვეული, რომ რამდენიმე აღსაზრდელს და მათ შორის III კლასის მოსწავლე ნ. კორჩევს ხელები მოეყინა.

აღსაზრდელთადმი უსულგულო დამოკიდებულებაზე მიუთითებს ისიც, რომ ნ. კორჩევი ხელდამზრალი და ჩაცმულობის მხრივ სრულიად მოუწესრიგებელი გაატანეს მშობელს. ბევრ აღსაზრდელს უვარგისი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი აცვია იმის გამო, რომ მათ მოვლა-პატრონობაზე არ არის დაწესებული სათანადო ზედამხედველობა.

მოუწესრიგებელია სასწავლო და საცხოვრებელი კორპუსების გათბობა. სასწავლო საათებისაგან თავისუფალ დროს აღსაზრდელები თავის ნებაზე არიან მიშვებულნი და ეს დრო მიზნობრივად არ არის გამოყენებული. არ არის გამოყოფილი დასვენებისა და გართობის ადგილი; ბავშვები იძულებული არიან, ცუდ ამინდშიაც კი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეზოში გაერთონ. ეს ხელს უწყობს აღსაზრდელთა ხელ-ფეხის დასველებასა და მოყინვას.

სკოლა-ინტერნატში ადგილი აქვს მოსწავლეთა დასჯის სრულიად მიუღებელი მეთოდის გამოყენებას. III კლასის მასწავლებელი ვ. ი. კარამიანი გაკვეთილებზე აჩოქებდა ბავშვებს. მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო-აღმზრდელობითი ნაწილის გამგემ ს. პაპაშვილმა ამ აღმაშფოთებელი ფაქტის შესახებ იცოდა, არავითარი რეაგირება არ მოუხდენია.

აღსანიშნავია, რომ მასწ. ვ. ი. კარამიანი სკოლა-ინტერნატის დირექტორმა კ. ცქიტიშვილმა განათლების სამინისტროს ბრძანების გარეშე თვითნებურად დაუშვა სამუშაოზე, რის გამო კ. ცქიტიშვილს განათლების სამინისტროს 1958 წლის 9 აპრილის № 484 ბრძანებით მითითება ჰქონდა მიცემული.

აღმზრდელ კ. ჯავახაძის უზედამხედველობისა და უპასუხისმგებლობის შედეგად, VIII კლასის მოსწავლე ს. ჯიოევს საშუალება მიეცა გასულიყო სკოლა-ინტერნატის ტერიტორიიდან და ადგილობრივ ახალგაზრდებთან ერთად არაყი დაელია. სკოლა-ინტერნატის ხელმძღვანელობას არც ამ ფაქტზე მოუხდენია სათანადო რეაგირება.

აღსაზრდელების უზედამხედველოდ დატოვებას ადგილი ჰქონდა აღმზრდელ ლ. კრავჩუკის მხრივაც.

სკოლა-ინტერნატის ექიმი პ. ფეიქრიშვილი და სამედიცინო და რ. მღებრიშვილი აღსაზრდელთა ჯანმრთელობის დაცვის საქსადმი მოუთმენელ უპასუხისმგებლობასა და დაუდევრობას იჩენენ.

ასეთი არანორმალური მდგომარეობა იმის შედეგია, რომ სკოლა-ინტერნატის დირექტორმა კ. ცქიტიშვილმა, სასწავლო-აღმზრდელობითი ნაწილის გამგემ ს. პაპაშვილმა უფროსმა აღმზრდელმა გ. პოპიაშვილმა ვერ უზრუნველჰყვეს აღმზრდელთა და აღსაზრდელთა კოლექტივების მჭიდროდ დარაზმვა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მაღალ დონეზე დასაყენებლად.

ქ. თბილისისა და სამგორის რაიონის განათლების განყოფილებები (ამხ. ამხ. თ. მათიაშვილი, შ. ბერაძე) არ ასრულებენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1956 წლის 24 ნოემბრის № 1639 ბრძანებას, რომლითაც მათ დავალებული აქვთ სკოლა-ინტერნატების მუშაობისადმი კონტროლის განხორციელება და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მაღალ დონეზე დაყენების საქმეში ყოველმხრივი დახმარების აღმოჩენა.

ის გარემოება, რომ ხელმძღვანელი ორგანოების დადგენილება კოჯორში წყლის გაყვანის შესახებ, ყოველგვარი ვადების ამო-

წურვის მიუხედავად, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ დღემდე არ არის შესრულებული, საგრძნობლად აფერხებს კოჯრის საბავშვო დაწესებულებების, მათ შორის ყველაზე დიდი დაწესებულების—სკოლა-ინტერნატის ნორმალურ მუშაობას. სკოლა-ინტერნატს არასოდეს არა აქვს წყალი საკმაო რაოდენობით. ამის გამო ნორმალურად არ მუშაობს ცენტრალური გათბობის სისტემა, აბანო, სამრეცხაო და სანიტარული კვანძები. ეს აიძულებს სკოლა-ინტერნატის ხელმძღვანელობას აღსაზრდელები საბანაოდ თბილისში ჩამოიყვანოს.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სკოლა-ინტერნატის მუშაობისადმი არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობისათვის კოჯრის სკოლა-ინტერნატის დირექტორს კ. ვ. ცქიტიშვილს გამოეცხადოს სასტიკი საყვედური და დაევალოს გაატაროს სასწრაფო ღონისძიებანი ამ ბრძანებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ.

2. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისადმი სუსტი ხელმძღვანელობისა და მასწავლებელ ვ. კარამიანის მიერ პედაგოგიურად გაუმართლებელი მეთოდის გამოყენების მიჩქმალვისათვის სასწავლო-აღმზრდელობითი ნაწილის გამგეს ს. პაპაშვილს გამოეცხადოს სასტიკი საყვედური.

3. აღსაზრდელთა მოვლა-პატრონობისადმი დაუშვებელი უყურადღებობისა და გულგრილობისათვის უფროს აღმზრდელს გ. პოპიაშვილს გამოეცხადოს სასტიკი საყვედური.

4. აღსაზრდელთა უზედამხედველოდ დატოვებისათვის აღმზრდელ კ. ჯავახაძეს გამოეცხადოს საყვედური.

6. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სკოლა-ინტერნატის III კლასის მასწავლებელი ვ. კარამიანი აღსაზრდელთა მიმართ პედაგოგიურად გაუმართლებელი სასჯელის გამოყენების გამო მოხსნილია თანამდებობიდან.

6. ეცნობოს, სათანადო ზომების მისაღებად, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, რომ კოჯრის სკოლა-ინტერნატის ექიმი პ. ფეიქრიშვილი და სამედიცინო და რ. მღებრიშვილი შეუწყნარებელ გულგრილობასა და უპასუხისმგებლობას იჩენენ აღსაზრდელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმისადმი.

7. ქ. თბილისისა და სამგორის რაიონის განათლების განყოფილებებმა (ამხ. ამხ. თ. მათიაშვილი და შ. ბერაძე) გადაჭრით გააუმჯობესონ სკოლა-ინტერნატებისადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი; სასწავლო წლის ბოლოს გადასინჯონ კოჯრის სკოლა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინტერნატის მასწავლებელთა და აღმზრდელთა შემადგენლობა და სამუშაოდან გაათავისუფლონ შეუფერებელი მუშაკები.

8. ეცნობოს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რომ თბილისის საქალაქო საბჭოს მიერ დღემდე არ არის შესრულებული საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 26 მარტის დადგენილება 1957 წლის ბოლომდე კოჯრის წყლით უზრუნველყოფის შესახებ.

9. გატარებულ ღონისძიებათა შესახებ ეცნობოს გაზეთ „მოლოდოი სტალინეცის“ რედაქციას.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1959 წლის 28 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **გ. ნ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ПРИКАЗ

## ПО МИНИСТЕРСТВУ ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

От 10 апреля 1959 года

## № 355

### О состоянии осуществления всеобщего обязательного обучения в школах Абхазской АССР

Прослушав доклад Министра просвещения Абхазской АССР тов. Чукбар Г. И., отмечаю, что во многих школах республики закон о всеобщем обязательном обучении осуществляется успешно. Своевременно и тщательно проводится учет детей школьного возраста.

С помощью учителей и представителей общественных организаций изучаются бытовые условия учащихся и принимаются меры по возвращению детей в школы и устранению причин, способствующих отсеву.

Несмотря на проведенные мероприятия в деле осуществления всеобщего обязательного обучения, все еще имеются существенные недостатки.

По народно-хозяйственному плану в 1958/59 учебном году в школах Абхазской АССР должно было обучаться 62.170 учащихся, фактически охвачено учебой 60.922 учащихся или 98%-ов. Иногда отделы просвещения в своих отчетах дают заниженные цифры отсева. Так, Гальский РОП сообщает, что по району отсеялось 4 ученика, в то время как проверкой только пяти школ обнаружен отсев в количестве 5 человек. Гульрипшский отдел просвещения показывает отсев по району 6 учащихся, а проверкой 6 школ обнаружен отсев 27 учащихся, по сведениям Очамчирского РОП по району отсеялось всего 16 учащихся, а проверкой только пяти школ обнаружен отсев в количестве 11 человек.

Отдельные руководители школ безответственно относятся к делу выполнения закона о всеобщем обязательном обучении, не принимают мер к возвращению детей, выбывших ранее из школ по неуважительным причинам.

В Гагрской 2-ой средней школе (директор Лакерба) при переходе учащихся из одной школы в другую документы оформляются не через РОП, а лично директором; часто без ведома директора, завуч школы Новикова З. И. сама выдает документы. Отсев по школе составляет 19 учеников. Из Лидзавской начальной школы (Зав. Мадиссон) отсеялось—5, из Пицундской 7-летней школы (директор Джакония)—6, из келасурской 7-летней школы (директор Шангуа)—5 учащихся.

Отдельные руководители школ и педколлективы недостаточно проводят педагогически продуманных мероприятий по ликвидации неуспеваемости, не оказывают помошь отстающим учащимся. В первом полугодии нинешнего учебного года по республике не успевало 14.377 учащихся, учащимися по неуважительной причине пропущен 143.481 учебный час. Слабо ведется работа со второгодниками.

Приказываю:

Министерству просвещения Абхазской АССР (тов. чукбар Г. И.):

1. Неуклонно проводить в жизнь закон о всеобщем обязательном обучении. В этом деле твердо руководствоваться инструкцией „по учету детей и подростков школьного возраста в Грузинской ССР“, утвержденной Советом Министров Грузинской ССР от 7 июня 1957 года № 342.

2. В кратчайший срок наладить точный учет детей школьного возраста; последовательно проводить мероприятия по предотвращению отсева учащихся из школ.

3. Обеспечить с нового учебного года возвращение в школы всех детей и подростков, ранее атсеявшихся из школ.

4. Принять решительные меры по ликвидации неуспеваемости и второгодничества. Добиться резкого улучшения учебно-воспитательной работы, повышения качества обучения и знаний учащихся. Оказывать повседневную индивидуальную помощь отстающим ученикам. Усилить контроль и руководство за работой школ и преподавателей.

5. Изучить положение детей, материально нуждающихся и оказывать им необходимую материальную помощь для продолжения учебы.

6. Добиться, чтобы рай (гор) ОП с особой ответственностью относились к учебу детей школьного возраста по состоянию на начало каждого учебного года, используя с этой целью как списки учета сельсоветов, так и сведения, полученные путем подворного обхода.

7. Систематически рассматривать на заседаниях коллегии Министерства просвещения отчеты рай (гор) ОП об осуществлении закона о всеобщем обязательном обучении и строго наказывать тех работников, которые не обеспечивают выполнение этого закона.

3. За представление неправильных сведений об отсеве учащихся из школ наложить административное взыскание на заведующих Гальским и Очамчирским РОП.

Министр просвещения Грузинской ССР Г. Н. Джибладзе

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძანება

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

## № 353

1959 წელი 9 აპრილი

### ქალაქ რუსთავის სკოლებში პოლიტექნიკური სწავლების განხორციელების მდგომარეობის შესახებ

გავეცანი რა რუსთავის განათლების განყოფილების გამგის ამხ. ბ. ლ. გოგუას მოხსენებას ქ. რუსთავის სკოლებში პოლიტექნიკური სწავლების განხორციელების შესახებ, აღვნიშნავ, რომ ბევრ სკოლაში ამ მხრივ დამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა.

ქალაქის 1-ლ, მე-2, მე-3, მე-4, მე-10 და მე-11 საშუალო სკოლებში შექმნილია ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის სრულყოფილი სასწავლო კაბინეტები. თითქმის ყველა სკოლა უზრუნველყოფილია საზეინკლო და სადურგლო სახელოსნოებით; გარდა ამისა საშუალო სკოლები უზრუნველყოფილია მექანიკური სახელოსნოებითა და მანქანათმცოდნეობის კაბინეტებით. თითოეული სკოლის ეზოში მოწყობილია საცდელი მიწის ნაკვეთი. სკოლების უმეტესობას გააჩნია სათბურები. მეოჯახეობის სწავლებისათვის მე-6, მე-10, მე-11 და მე-14 სკოლებში მოწყობილია სამკერვალო სახელოსნოები. კარგადაა დაყენებული ხელგარჯილობის სწავლება დაწყებით კლასებში. მთელ რიგ სკოლებში ჩამოყალიბებულია მოსწავლეთა კომკავშირული შრომის ბრიგადები, სკოლების ხელმძღვანელობას და მასწავლებლებს სწორად აქვთ გაგებული პოლიტექნიკური სწავლების პრინციპები. ქალაქის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოები პასუხისმგებლობით ეკიდებიან პოლიტექნიკური სწავლების საქმეს. შეფი-ორგანიზაციები ქმედით დახმარებას უწევენ სკოლებს სასწავლო ბაზების მოწყობის საქმეში.

მე-10 სკოლაში (დირექტორი ვ. პაიჭაძე, სასწავლო ნაწილის გამგე ა. დურმიშიძე) მოწყობილია ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტები, სადაც გაკვეთილები ტარდება ყველა საჭირო თვალსაჩინოებით. სათანადო ადგილს იკავებს კინო გაკვეთილები. სკოლა-

ში გამართულია სრულყოფილი საზეინკლო, სადურგლო და მექანიკური სახელოსნოები 24 სამუშაო ადგილითა და ყველა საჭირო იარაღ-მოწყობილობით. კარგია მანქანათმცოდნეობის კაბინეტი და ბიოლოგიის ცოცხალი კუთხე, სათბურში წარმოებს დაკვირვებები მცენარეთა ზრდა-განვითარებაზე. მე-5, მე-6 და მე-7 კლასების გოგონებისათვის მოწყობილია სამკერვალო სახელოსნო 20 საკერავი მანქანით, სადაც გოგონები დიდი ინტერესით მეცადინეობენ და სწავლობენ კერვას. კარგად მუშაობს ამ სკოლის მეოჯახეობის მასწავლებელი ა. ბოცვაძე.

კარგადაა დაყენებული ხელგარჯილობის სწავლება I—IV კლასებში. მასწავლებლების თ. ვაჭარაძის, გ. ხაბულიანისა და ი. კაბოსნიძის ყოველი გაკვეთილი საინტერესოა ბავშვებისათვის. მოსწავლეები თავისი ხელით ამზადებენ გეომეტრიულ ფიგურებს, მარტივ სათამაშოებს ნაძვის ხისათვის. ბავშვები ეუფლებიან ნემსისა და ძაფის ხმარებას.

მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადამ კომკავშირის 40 წლისთავის აღსანიშნავად სკოლის ეზოში ააგო პატარა ელექტროსადგურის შენობა და დაამონტაჟა სითბური ძრავა ელექტროდენის მისაღებად.

გარკვეულ წარმატებებს მიაღწია მე-3 საშუალო სკოლამ (დირექტორი ი. ა. სკრინიკოვი). უკვე მესამე წელია, რაც ამ სკოლაში საწარმოო სწავლებაა შემოღებული. ამ სკოლის VIII, IX და X კლასების მოსწავლეები შაბათობით მთელ დღეს მუშაობენ რუსთავის მექანიკურ ქარხანაში. იქვე ტარდება მეცადინეობა მანქანათმცოდნეობისა და ელექტროტექნიკის პრაქტიკუმების თეორიულ საკითხებზე. მექანიკური ქარხნის დირექტორი ვ. სალაძე, მთ. ინჟ. ვ. იმნაძე და მექანიკური საამქროს უფროსი ს. შალახოვი გულისხმიერად ეკიდებიან მოსწავლეთა საწარმოო სწავლების საქმეს.

სკოლის ადმინისტრაციასა და ქარხნის ხელმძღვანელობას შორის საქმიანი ურთიერთობაა დამყარებული. საწარმოო სწავლების ხელმძღვანელები ესწრებიან სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომებს, სადაც ხდება აზრთა გაცვლა-გამოცვლა საწარმოო სწავლების ორგანიზაციისა, სამუშაოს დაგეგმვისა და სხვა საკითხებზე.

1958—59 სასწავლო წელს მოხდება ამ სკოლის საწარმოო სწავლების X კლასების პირველი გამოშვება და მოსწავლეები სიმწიფის ატესტატთან ერთად მიიღებენ სახარატო საქმის მე-3, მე-4 თანრიგის მოწმობებს.

კარგად არის დაყენებული V—VII კლასების მოსწავლეთა მეცადინეობა სასწავლო სახელოსნოებში. სკოლას სანიმუშო აქვს

მოწყობილი სადურგლო და საზეინკლო სახელოსნოები. სადურგლო საქმის მასწავლებელი კ. ივანოვი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას; თითოეული დეტალის დამუშავებისათვის მოსწავლეებს იგი აძლევს წინასწარ გამზადებულ ნახაზებს, რომელთა მიხედვით მზადდება სხვადასხვა დეტალი და დგამები. მოსწავლეები მუშაობენ ზუსტად, სუფთად და დაინტერესებით. ასევე კარგად მუშაობს ამ სკოლის საზეინკლო საქმის მასწავლებელი ა. კისენკო.

მე-9 სკოლის სასწავლო სახელოსნოში მოწყობილია 13 სამუშაო დაზგა (მასწ. გ. ნადეინი). აღნიშნულ სახელოსნოში მოსწავლეები პრაქტიკული მუშაობის დაწყებამდე მასწავლებლისაგან ღებულობენ თეორიულ ახსნა-განმარტებას, ადგენენ ნახაზებს და დავალების მიღების შემდეგ იწყებენ მუშაობას. მოსწავლეები დამოუკიდებლად ამზადებენ სკამებს, ტანსაცმლის საკიდებს, იატაკის საწმენდ ჯოხებს, აწარმოებენ სასკოლო ინვენტარის შეკეთებას, სწავლობენ სადურგლო წებოს დამზადებასა და მისი საშუალებით სხვადასხვა ნაწილების შეერთებას.

ქალაქის მთელ რიგ სკოლებში ამჟამად არსებული სადურგლო-საზეინკლო სახელოსნოები შეიძლება გამოყენებულ იქნას მოსწავლეთა მიერ გარკვეულ ფასეულობათა შესაქმნელად.

მე-2 სკოლაში კარგადაა დაყენებული ნორჩ ნატურალისტთა წრის მუშაობა. მოსწავლეებს სათბურში გამოჰყავთ თესლები, უვლიან მცენარეებს და აწარმოებენ დაკვირვებებს მათ ზრდა-განვითარებაზე. ბიოლოგიის კაბინეტში გახარებულია ვაზი, რომელიც თებერვლიდან იწყებს ნაყოფის გამოღებას. მოსწავლეები ამზადებენ ჰერბარიუმებსა და სხვადასხვა ცოცხალი ორგანიზმების დასპირტულ კოლექციებს. ნაყოფიერად ტარდება სასწავლო-საწარმოო ექსკურსიები. მასწავლებელმა ლ. პავლოვამ რამდენჯერმე მოაწყო ექსკურსია მეტალურგიულ ქარხანაში, სადაც მოსწავლეებს პრაქტიკულად გააცნო მარტენის ღუმელში ლითონის გამოდნობის პროცესები და ჟანგბადის საამქროში—ჟანგბადის მიღების წესები.

მიუხედავად ამისა ქ. რუსთავის სკოლების მუშაობაში ჯერ კიდევ აქვს ადგილი ისეთ ნაკლოვანებებს, რომლებიც მნიშვნელოვნად აფერხებენ პოლიტექნიკური სწავლების შემდგომი გაუმჯობესების საქმეს.

ყველა სკოლა არ არის დაკომპლექტებული მანქანათმცოდნეობის, ელექტროტექნიკისა და სოფლის მეურნეობის პრაქტიკუმების კვალიფიციური მასწავლებლებით. მე-12 საშუალო სკოლის ელექტროტექნიკისა და მანქანათმცოდნეობის პრაქტიკუმის მასწავლებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. ახალბეგაშვილი სრულ უვიცობას იჩენს ამ საგნების თეორიულ საკითხებში. მან არ იცის ელექტროდენის ძირითადი კანონები, ვერ განმარტა ომის კანონი, გამტარების მიმდევრობითი და პარალელური შეერთება, ტრანსფორმატორის აგებულება, არ იცის რა პრინციპებზეა მოწყობილი კარბურატორი და სხვ,

არის სკოლები, სადაც პრაქტიკულ მეცადინეობას სადურგლო და საზეინკლო სახელოსნოებში ამ საქმისათვის სრულიად შეუფერებელი მასწავლებლები ხელმძღვანელობენ. მე-11 საშუალო სკოლაში სადურგლო, საზეინკლო საქმეს და მანქანათმცოდნეობას ასწავლის გეოგრაფი გვარამაძე. ამ სკოლის მოსწავლეებმა ცუდად იციან სადურგლო და საზეინკლო იარაღების ხმარება.

ზოგიერთი სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებლები უპასუხისმგებლობას იჩენენ ხელგარჯილობის სწავლებისადმი. მე-11 და მე-8 სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებლები ნ. მაჩალოვა და ე. ლუტეროვიჩი არ არიან დაუფლებული ამ საგნის სწავლებას, მოსწავლეებს სათანადოდ ვერ აინტერესებენ და ერღვევათ დისციპლინა გაკვეთილებზე.

მე-9 სკოლის ფიზიკის მასწავლებელი ბაქრაძე საგნის სწავლების დროს არ იყენებს თვალსაჩინოებას, არ ზრუნავს კაბინეტის მოწყობისათვის.

შემჩნეულია, რომ ზოგიერთი სკოლის დირექცია ნაკლებ ყურადღებას აქცევს ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის სწავლების საქმეს. მე-9 სკოლაში (დირექტორი სუვოროვა) ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტების მდგომარეობა წინა წლებთან შედარებით გაუარესდა.

ჯერ კიდევ აქვს ადგილი ფორმალიზმსა და უპასუხისმგებლობას სახელოსნოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის საქმეში. მე-12 სკოლაში (დირექტორი ა. შარვაშიძე) სადურგლო და სახარატო დაზგები დღემდე გაუმართავია. მე-2 სკოლის სადურგლო საქმის მასწავლებელი ა. ბიძინაშვილი არ აქცევს სათანადო ყურადღებას დაზგებისა და ხელსაწყო-იარაღების მოვლა-პატრონობას.

სათანადო სიმაღლეზე არა დგას კაბინეტებისა და სახელოსნოების ინვენტარის აღრიცხვის საქმე. სკოლებს არა აქვთ სასკოლო კაბინეტებისა და სახელოსნოების აღრიცხვის ერთიანი სრულყოფილი ჟურნალი.

სკოლები უზრუნველყოფილია კინოაპარატებით, მაგრამ ისინი სათანადოდ არ მარაგდებიან სასწავლო კინოფილმებით.

სკოლებში სუსტადაა დაყენებული ელექტროტექნიკის სწავლება. ამ საგნის სწავლება არ არის დაკავშირებული ფიზიკის სწავ-

ლებასთან. თვით საგანს ასწავლიან არასპეციალისტები. საგნის სწავლებაში ნაკლებად არიან ჩაბმული ფიზიკის მასწავლებლები.

სუსტად მუშაობს ქალაქის ნორჩ ტექნიკოსთა სადგური (დირექტორი ვ. გვენცაძე) იგი ვერ ეხმარება სკოლებს სკოლისგარეშე საწრეო მუშაობის გაშლასა და საერთოდ პოლიტექნიკურ სწავლებაში.

**ვბრძანებ:**

ქალაქ რუსთავის განათლების განყოფილებამ (ბ. გოგუა):

1959/1960 სასწავლო წლისათვის უზრუნველჰყოს სკოლები პოლიტექნიკური საგნების სწავლებისათვის კვალიფიციური კადრებით.

2. ყოველმხრივ დაეხმაროს სკოლებს სასწავლო-მატერიალური ბაზის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში;

3. აღმოფხვრას ფორმალიზმი და უპასუხისმგებლობა სასწავლო სახელოსნოების მოწყობისა და მის მოვლა-პატრონობის საქმეში;

4. უზრუნველყოს სკოლებში ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის კაბინეტების მოწყობის შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1948 წლის № 3331 ბრძანების შესრულება;

5. კიდევ უფრო ღრმად შეისწავლოს ქ. რუსთავის სკოლებში პოლიტექნიკური სწავლების საქმეში დაგროვილი მოწინავე გამოცდილება და მოახდინოს მისი ფართო განზოგადება;

6. ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს ნორჩ ტექნიკოსთა სადგურს და საჭირო ღონისძიებები გაატარონ კლასგარეშე მუშაობის გასაუმჯობესებლად.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბრძანება

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

## № 377

1959 წლის 20 აპრილი

**ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის გაუმჯობესების ღონისძიებათა თაობაზე საქართველოს სსრ განათლების მინისტრის 1957 წლის 30 სექტემბრის № 1477 ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ**

აღენიშნავ, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად 1958—1959 სასწავლო წლიდან რესპუბლიკის სკოლების V—VI კლასებში დამატებით შემოღებულია სიმღერისა და ხატვის სწავლება. I—IV კლასების მოსწავლეებისათვის გამოცემულია ახალი სახელმძღვანელოები; 1960 წლისათვის გეგმით გათვალისწინებულია I—IV კლასების ხატვისა და V—VI კლასების სიმღერის მასწავლებელთა დასახმარებლად სახელმძღვანელოს გამოცემა. 7 პედაგოგიურ ინსტიტუტთან გახსნილია დაწყებითი სკოლების მასწავლებელთა მოსამზადებელი ფაკულტეტები.

მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მიერ 1958 წელს მოწყობილ კურსებზე დაწყებითი კლასების 783 მასწავლებელს წაეკითხა ლექციები სიმღერისა და ხატვის სწავლების მეთოდიკის საკითხებზე, ამასთან მოეწყო V—X კლასების ხატვა-ხაზვის მასწავლებელთა დახელოვნების ერთთვიანი კურსები.

სკოლების სამმართველოს ინსპექტორების მიერ შესწავლილია 197 მასწავლებლის მუშაობა, მოსმენილია სიმღერის 192 და ხატვის 86 გაკვეთილი. დებულების შესაბამისად ქ. თბილისის 30 სკოლასთან გახსნილია მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრის შემსწავლელი წრეები, სადაც გაერთიანებულია 2000-მდე მოსწავლე. ყურადღება ექცევა სკოლებში მოსწავლეთა გუნდების ჩამოყალიბებას.

შემუშავებულია დებულება სკოლის მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელის შესახებ, რომელიც ძალაში შევა ახალი სასწავლო წლის დასაწყისიდანვე. ყურადღება ექცევა აგრეთვე ხატვაში საწრეო მუშაობას.

ქ. თბილისის 1-ლ საშუალო სკოლასთან და 1-ლ სკოლა-ინტერნატთან (დირექტორები ნ. კიკვაძე და გ. ბერაია) გახსნილია მუსიკის კაბინეტები. ქალაქის ბევრ სკოლას აქვს მუსიკალური ინსტრუმენტები. 1958 წელს სკოლებმა, სკოლა-ინტერნატებმა და საბავშვო ბაღებმა მიიღეს 30 პიანინო. 1960 წლისათვის დაგეგმილია 50 პიანინოს მიღება.

სკოლების ხელმძღვანელები და პედაგოგიური კოლექტივები სათანადო ყურადღებას აქცევენ სკოლის ეზოს, სასკოლო შენობის, სასწავლო კაბინეტების, ლაბორატორიებისა და საერთოდ მთელი გარემოს იმგვარად მოწესრიგებას, რომ იგი ხელს უწყობდეს მოსწავლეებში ესთეტიკური გრძნობის აღზრდას.

მშობლიური ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის, ისტორიის, გეოგრაფიისა და სხვა საგნების ბევრი მასწავლებელი მოხერხებულად იყენებს საპროგრამო მასალას მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის მიზნით.

კარგად ისწავლება სიმღერა და ხატვა ქ. თბილისის 1-ლ საშუალო სკოლაში. ამ სკოლის I—VI კლასებში სიმღერასა და ხატვას ასწავლიან საგნის სპეციალისტები—ჯ. მუჯირი, თ. ქართველიშვილი, თ. ცომაია და მ. პოლოლიკაშვილი. ასევე კარგად არის დაყენებული სიმღერისა და ხატვის სწავლება 23-ე, 47-ე, 51-ე, 57-ე, მე-4, 43-ე, 30-ე და 33-ე საშუალო სკოლებში (მასწავლებლები: ს. ახვლედიანი, რ. ჭიჭინაძე, ლ. თ. ქავთარაძე, ელ. კეკელიძე, ლ. გიორგაძე ვ. დემიანოვა, ბ. რიჩკოვი, ვ. ლალიძე, მ. ონუფრიენკო).

ეს მასწავლებლები გულდასმით ემზადებიან გაკვეთილებისათვის, იყენებენ სწავლებისათვის საჭირო დიდაქტიკურ მასალას და სასწავლო მეთოდურ ლიტერატურას, ხატვის მასწავლებლები სისტემატურად ასწორებენ ნამუშევრებს, აწყობენ სასკოლო გამოფენებს, სასწავლო მასალას ამუშავებენ პროგრამის შესაბამისად. სიმღერის მასწავლებლები ბავშვებთან მუშაობენ ხმის, მეხსიერების, სმენის, რიტმის განვითარებაზე, სწორად სუნთქვისა და საერთოდ საგუნდო ჩვევების გამომუშავებაზე.

ქ. თბილისის კიროვის სახ. რაიონის განათლების განყოფილება კარგად ხელმძღვანელობს ამ დარგს და სკოლების საინსპექტორო შემოწმების დროს ყურადღებას აქცევს სიმღერისა და ხატვის სწავლებას.

მიუხედავად ამისა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის საქმეში ადგილი აქვს სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებებს. ზოგიერთი განათლების განყოფილების გამგე და სკოლის დირექტორი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ საქართველოს სსრ განათლების მინისტრის 1957 წლი 30 სექტემბრის № 1477 ბრძანებასაც კი არ იცნობს. არის შემთხვევები, როდესაც სიმღერასა და ხატვას ასწავლიან ამ საგნის არმცოდნე პირები. ხშირია შემთხვევა, რომ სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საათები არ ხმარდება ამ საგნების სწავლებას. ზოგიერთი სკოლის დირექტორი და სასწავლო ნაწილის გამგე არ ესწრება გაკვეთილებს და არ აძლევს მითითებებს სიმღერისა და ხატვის მასწავლებლებს.

პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტს დღემდე არ გამოუცია მეთოდური კრებული სიმღერის მასწავლებელთა დასახმარებლად, ხოლო მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტს არ მოუწყვია V—VI კლასების სიმღერის მასწავლებელთა დახელოვნების კურსები.

ნაკლები ყურადღება ექცევა სახელმძღვანელოების ადგილებზე დაყვანას. გამოცემული სახელმძღვანელოების ტირაჟი სიმღერაში ძალზე მცირეა. რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში სიმღერის სახელმძღვანელოები იგზავნება ძალზე დაგვიანებით.

ქალაქის ბევრ სკოლას დღესაც არ გააჩნია სახელმძღვანელოები მუსიკასა და ხატვაში. სტალინის რაიონის სკოლების I—IV კლასების 3861 მოსწავლეზე მუსიკის 323 სახელმძღვანელო მოდის. სრულიად არა აქვთ მუსიკის სახელმძღვანელო მე-19, მე-20, 22-ე, 27-ე, 28-ე სკოლების მოსწავლეებს.

ორჯონიკიძის რაიონის სკოლების I—IV კლასებში ირიცხება 7,766 მოსწავლე. მუსიკის სახელმძღვანელო კი მხოლოდ 340 ცალია. 50-ე 56-ე, 57-ე, 55-ე საშუალო სკოლებს სრულიად არა აქვთ მუსიკის სახელმძღვანელო.

ზოგიერთი განათლების განყოფილების საინსპექტორო შემოწმების მასალებში სიტყვაც არ არის ნათქვამი სიმღერა-მუსიკისა და ხატვის სწავლების მდგომარეობის შესახებ (26 კომისრის, ოქტომბრის, სტალინის რაიონები),

55-ე საშუალო სკოლის III კლასის მასწავლებელი თ. საყვარელიძე სათანადოდ ვერ ფლობს მუსიკალურ ინსტრუმენტს.

ამ სკოლის დირექტორს იპ. სურგულაძეს და სასწავლო ნაწილის გამგეს ლორთქიფანიძეს სასწავლო წლის I და II მეოთხედებ-

ში მოსმენილი ჰქონდათ სიმღერა-მუსიკის თითო გაკვეთილი. სკო-ლის I—IV კლასების 638 მოსწავლიდან მუსიკის სახელმძღვანელო არც ერთ მოსწავლეს არ აღმოაჩნდა, სკოლაში არც ის იციან, რომ I—IV კლასების მოსწავლეთათვის გამოცემულია სიმღერის სახელმძღვანელო.

მე-19 საშუალო სკოლის III კლასის მასწავლებელი ე. ქუთათელაძე სისტემატურად არ ატარებს სიმღერის გაკვეთილს, საკლასო ჟურნალში მუსიკის გაკვეთილი ხშირად არ არის შეტანილი, მასწავლებლის მიერ მოსწავლის ცოდნა შეფასებულია მხოლოდ მეოთხედის ბოლოს მასალას, არ ასწავლის პროგრამის მიხედვით.

ამავე სკოლის $\mathrm{II}^2$-კლასის ხატვის მასწავლებელ კ. იაგულიანის მიერ საკლასო ჟურნალში შეტანილი ჩანაწერები არ უპასუხებს საპროგრამო მასალის თემატიკას. მასწავლებელი ვერ ფლობს საგანს, გულდასმით არ ეცნობა საპროგრამო მასალას. მოსწავლეთა ნამუშევრები ხატვაში უვარგისია.

კალინინის რაიონის 42-ე და კიროვის რაიონის 67-ე საშუალო სკოლების II კლასის სიმღერის მასწავლებლები ქ. სიხარულიძე, მჭედლიშვილი სათანადოდ ვერ იცნობენ საპროგრამო მასალას, ბავშვებს ამღერებენ დაძაბულად, არ უფრთხილდებიან მათ ხმებს, მასწავლებლები ვერ ასრულებენ გაკვეთილზე მაორგანიზებელ როლს, დროის გაყვანის მიზნით ხშირად მიმართავენ დეკლამაციას, სიმღერის გაკვეთილებს სხვა საგნების სწავლებისათვის იყენებენ. 67-ე, 84-ე და მე-6 საშუალო სკოლების ხატვის მასწავლებლები არ არიან დაინტერესებულნი კვალიფიკაციის ამაღლებით, არ ესწრებიან ხატვა-ხაზვის მასწავლებელთა სექციურ მუშაობას. მათ მიერ საკლასო ჟურნალებში შეტანილი ჩანაწერები არ უპასუხებს გეგმით გათვალისწინებული საპროგრამო მასალის თემატიკას. გაკვეთილებს დაბალ დონეზე და უნაყოფოდ ატარებენ, არ ასწორებენ მოსწავლეთა ნამუშევრებს, მოსწავლეები არ არიან დაუფლებულნი ხატვის ელემენტარულ ცოდნა-ჩვევებს, მოსწავლეთა მიერ ნახატები შესრულებულია სასურათო სიბრტყეზე გაბნეულად, ქაოტურად, ზოგჯერ სახატავი ფურცლის ორივე გვერდზე. ხშირად ხატვის მასწავლებლები არ განუმარტავენ მოსწავლეებს როგორ და რა ხერხებით გამოსახონ ნატურის თავისებურებანი (ფორმა, ფერი, შუქჩრდილები, განზომილებათა შორის პროპორციული შეფარდებანი და სხვ.).

ვბრძანებ:

1. სკოლების დირექტორებმა:

ა) გააძლიერონ კონტროლი და ხელმძღვანელობა მასწავლებელთა მუშაობაზე; სისტემატურად მოისმინონ სიმღერა-მუსიკის

და ხატვის გაკვეთილები და მიაღწიონ ამ საგნების მასწავლებელთა პედაგოგიური დახელოვნების სრულყოფას და სწავლების მაღალ დონეზე დაყენებას;

ბ) მაქსიმალურად გამოიყენონ სკოლის შესაძლებლობანი სიმღერა-მუსიკისა და ხატვის კაბინეტების გასახსნელად, პერიოდულად მოაწყონ მოსწავლეთა საუკეთესო ნამუშევრების გამოფენები;

გ) ყურადღების ცენტრში იყოლიონ ამ ბრძანებაში აღნიშნული სუსტად მომუშავე მასწავლებლები, განახორციელონ სისტემატური კონტროლი და ხელმძღვანელობა მათ მუშაობაზე, არ დაუშვან ხატვისა და სიმღერის გაკვეთილების გამოყენება სხვა საგნების სწავლებისათვის:

დ) მასწავლებლები ჩააბან დაუსწრებელ სწავლებაში:

ე) ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრის სწავლების წრეებს და დებულების შესაბამისად ჩამოაყალიბონ ასეთი წრეები;

ვ) შეამოწმონ საკლასო ჟურნალებში მასწავლებლების მიერ გადაცემული მასალის შეტანის სისწორე, მიაღწიონ იმას, რომ სიმღერასა და ხატვაში მოსწავლე ფასდებოდეს მთელი მეოთხედის განმავლობაში.

2. ქ. თბილისის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა;

ა) სკოლების საინსპექტორო შემოწმების დროს გაამახვილონ ყურადღება სიმღერა-მუსიკისა და ხატვის სწავლების მდგომარეობაზე, ყოველმხრივ შეისწავლონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო ბაღებში მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის მდგომარეობა და საკითხი განიხილონ სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე.

3. სახელმძღვანელოებისა და მეთოდიკის განყოფილებამ (ამხ. დ. ჯავახია) გადიდებული ტირაჟით გამოსცეს I—IV კლასების სახელმძღვანელო 1960 წლისათვის.

4. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (ამხ. ასპინძელაშვილი) დაწყებითი კლასების მასწავლებელთა დახელოვნების კურსების სასწავლო გეგმებში გაადიდოს ხატვისა და სიმღერა-მუსიკის საათების რაოდენობა, ამასთან წელს მოაწყოს V—VI კლასების სიმღერა-მუსიკის და V—X კლასების ხატვა-ხაზვის მასწავლებელთა დახელოვნების კურსები.

2. პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტმა 1959 წლის ბოლოსათვის სიმღერა-მუსიკის და ხატვის მასწავლებელთა დასახმარებლად გამოსცეს მეთოდური კრებული.

6. სკოლების სამმართველომ (ამხ. გ. საყვარელიძე) სკოლების საინსპექტორო გამოკვლევისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მუსიკისა და ხატვის სწავლებას.

7. მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა განყოფილებამ (ამხ. ს. არველაძე): ა) მტკიცე კონტროლი დააწესოს სახელმძღვანელოების განაწილებაზე; ბ) მოამარაგოს სკოლები მუსიკალური ინსტრუმენტებით.

8. საჭიროდ იქნას ცნობილი პედაგოგიკურ მეცნიერებათა-სამეცნიერო საკვლევ ინსტიტუტში სიმღერა-მუსიკის სწავლების მეთოდიკის სექტორის შექმნა. პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტმა სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველოსთან ერთად შეისწავლოს საკითხი ინსტიტუტში აღნიშნული სექტორის ჩამოყალიბების შესაძლებლობის შესახებ და თავისი მოსაზრებანი წარმოადგინოს 10 დღის ვადაში.

9. საგნის სწავლების არასათანადო დონეზე დაყენებისათვის ხატვის მასწავლებლებს: ე. გვიშვილს (მე-6 საშუალო სკოლა), ლ. გარსოშვილს (84-ე საშუალო სკოლა), ლ. ცინცაძეს (67-ე საშუალო სკოლა), კ. იაგულიანს (მე-19 საშუალო სკოლა), სიმღერის მასწავლებლებს: ე. ქუთათელაძეს (მე-19 საშუალო სკოლა), თ. საყვარელიძეს (55-ე საშუალო სკოლა), ქ. სიხარულიძეს (42-ე საშუალო სკოლა) და მჭედლიშვილს (67-ე საშუალო სკოლა) მიეთითოთ.

10. ქ. თბილისის განათლების განყოფილებამ (ამხ. თ. მათიაშვილი);

ა) თბილისის პედაგოგიურ კაბინეტთან ჩამოაყალიბოს სექცია სიმღერის მასწავლებლებისა და სასკოლო მომღერალთა გუნდების ხელმძღვანელთათვის;

ბ) განიხილოს ეს ბრძანება სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე განათლების განყოფილების გამგეებისა და სკოლების დირექტორების თანდასწრებით.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბრძანება
## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი
## № 378

1959 წლის 20 აპრილი

### ქ. თბილისის სამგორის და საგარეჯოს რაიონების სკოლებსა და სკოლა-ინტერნატებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

გაეცანი რა ქ. თბილისის სამგორისა და საგარეჯოს რაიონების სკოლებსა და სკოლა-ინტერნატებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგებს აღვნიშნავ, რომ მასწავლებელთა საგრძნობი ნაწილი მუშაობს კეთილსინდისიერად, საფუძვლიანად ემზადება გაკვეთილებისათვის და მოსწავლეებს აძლევს მტკიცე ცოდნას.

კარგად მუშაობენ ქართულიენისა და ლიტერატურის მასწავლებლები ნ. ცაგარეიშვილი (საგარეჯოს საშუალო სკოლა), კ. გუნთაიშვილი (საგარეჯოს რაიონი, კაკაბეთის საშუალო სკოლა), ე. უსტიაშვილი (საგარეჯოს შვიდწლიანი სკოლა); ქიმიის მასწავლებლები ნ. კვეზერელი (კაკაბეთის საშუალო სკოლა), მ. გოდერძიშვილი, ზ. ლომსიანიძე (საგარეჯოს საშუალო სკოლა); ბიოლოგიის მასწავლებლები ე. გოდერძიშვილი, ე. ქურთიშვილი (საგარეჯოს საშუალო სკოლა), ნ. გოლაშვილი (საგარეჯოს 7 წლიანი სკოლა), ქ. ბაკურაძე (მანავის საშუალო სკოლა); კონსტიტუციის მასწავლებელი გ. რევაზოვი (საგარეჯოს სამუალო სკოლა).

სწავლების მწარმოებლურ შრომასთან შეერთების საქმეში გარკვეული წარმატებებია მოპოვებული საგარეჯოს რაიონის სკოლებში. რაიონის მოსწავლეთა 19 საწარმოო ბრიგადაში გაერთიანებული იყო 753 მოსწავლე. მათ გამოიმუშავეს 23086 შრომადღე. მოსწავლეებმა გამოკვებეს და მოუარეს 181 გრამ აბრეშუმის მურს და მიიღეს 551 კგ აბრეშუმის პარკი. ამ მხრივ ყველაზე კარგად იმუშავეს საგარეჯოს (4 ბრიგადა, 162 მოსწავლე, გამომუშავებულია 6322 შრომადღე), სართიჭალის II (2 ბრიგადა, 107 მოსწავ-

ლე, გამომუშავებულია 6100 შრომადღე), პატარძეულის (2 ბრიგა-და, 107 მოსწავლე, გამომუშავებულია 5032 შრომადღე) საშუალო სკოლებმა. კარგად იმუშავა აგრეთვე სამგორის რაიონის ზემო თელეთის საშუალო სკოლამ.

სანიმუშო სისუფთავეა საგარეჯოს (დირექტორი მ. მანდარია), სართიჭალის II (დირექტორი შ. ურელიძე), სამგორის რაიონის ზემო თელეთის (დირექტორი გ. ბაკურაძე) საშუალო სკოლებში. ცვლებს შორის სწარმოებს საკლასო ოთახების სველი წესით დაგვა-დასუფთავება და განიავება. აღნიშნული სკოლები გადასული არიან მოსწავლეთა თვითმომსახურებაზე. რეგულარულად ტარდება ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობის შემოწმება, მოწყობილია სათამაშო და სპორტული მოედნები. სათანადო მუშაობა წარმოებს სკოლის ეზოს გამწვანებისა და კეთილმოწყობისათვის.

კარგად არის მოწყობილი ქიმიის კაბინეტები საგარეჯოსა და კაკაბეთის საშუალო სკოლებში. კაბინეტები მდიდარია მოსწავლეთა ნამუშევრებით, სქემებით, ტაბულებით, ნახაზებით და თვითნაკეთი ხელსაწყოებით. მოსწავლეები დამოუკიდებლად ატარებენ ცდებს და აკეთებენ სათანადო პრაქტიკულ დასკვნებს. ასევე კარგადაა მოწყობილი ბიოლოგიის კაბინეტი საგარეჯოს საშუალო სკოლაში.

საგარეჯოს რაიონის განათლების განყოფილება (გამგე ი. ბედიაშვილი) რეგულარულად სწავლობს სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას, შემოწმების შედეგებს იხილავს განათლების საბჭოს სხდომაზე და პერიოდულად ახდენს სკოლებზე მიცემული მითითებების შესრულების შემოწმებას.

მიუხედავად ამისა ქ. თბილისის სამგორისა და საგარეჯოს რაიონების სკოლების მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

საპროგრამო მასალის ელემენტარული საკითხების უცოდინარობა გამოამჟღავნეს ქართულ ლიტერატურაში მანავის საშუალო სკოლისა (მასწავლებელი მ. მორჩილაძე) და სართიჭალის II საშუალო სკოლის X კლასების (მასწავლებელი ლ. ფალიანი) მოსწავლეებმა. ნორიოს საშუალო სკოლის V კლასის მასწავლებელი ა. ძიძიკაშვილი ქართული ენის გაკვეთილს ხსნის ზეპირად, საშინაო დავალებად აძლევს სახელმძღვანელოდან ამოღებულ ერთსა და იმავე სიტყვებს ან წინადადებებს. საშინაო დავალების რვეულში ყველა მოსწავლეს ერთი და იგივე ზმნა აქვს გარჩეული. ბავშვები წიგნიდან იწერენ მზამზარეულად მოცემულ წინადადებებს. არ ხდება გონებრივი ვარჯიში, დაკვირვება, ძიება, ახლად ახსნილი მასალის განმტკიცება. მასწავლებლები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მოს-

წავლეთა წერითი ნამუშევრების გასწორებას. ნაშრომებს ასწორებენ ზერელედ, აფასებენ ლიბერალურად.

სუსტად ისწავლება რუსული ენა წყნეთის (მასწავლებლები ა. ოძელაშვილი, ზ. ოძელაშვილი). კუმისის (მასწავლებელი ჟ. ამირჯანოვა), კაკაბეთის (მასწავლებელი მ. აშბარდანიშვილი) საშუალო სკოლების დაწყებით კლასებში. აღნიშნული მასწავლებლები ვერ ფლობენ ენას.

დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს სართიჭალის მეორე საშუალო სკოლის X კლასის (მასწავლებელი მ. სუარიძე) მოსწავლეებმა. ისინი ძალზე სუსტად ერკვევიან რუსული ენის გრამატიკულ კატეგორიებში.

ასევე არადამაკმაყოფილებელი ცოდნა გამოამჟღავნეს კაკაბეთის საშუალო სკოლის IX, X კლასების (მასწავლებელი მ. მირვანიშვილი) მოსწავლეებმა. მათში არაა გამომუშავებული დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევა. მოსწავლეები საკონტროლო წერის დროს მასობრივად სარგებლობდნენ „შპარგალკებით". ძალზე უწიგნურად შეასრულეს საკონტროლო წერა მე-10 კლასის მოსწავლეებმა. აგრეთვე არადამაკმაყოფილებელი მომზადება გამოამჟღავნეს საგარეჯოს საშუალო სკოლის (მასწავლებლები ნ. ასთარიშვილი, ე. მაგაფოვა) მოსწავლეებმა. საკონტროლო წერების შემოწმების დროს მასწავლებლები არ იცავენ შეფასების ნორმებს. მოსწავლეთა ნამუშევრებს ლიბერალურად აფასებენ კუმისის (მასწავლებელი მ. ხუბაშვილი), კაკაბეთის (მასწავლებელი მ. მირვანიშვილი), მანავის (მასწავლებელი კ. ზამთარაძე) საშუალო და საგარეჯოს 7 წლიან (მასწავლებელი თ. ლაფერაშვილი) სკოლებში. არის შემთხვევები როდესაც მეოთხედის განმავლობაში მოსწავლის ყველა საკლასო წერითი ნამუშევარი შეფასებულია არადამაკმაყოფილებელი ნიშნით. ხოლო მეოთხედის ბოლოს გამოყვანილი აქვს დადებითი ნიშანი.

კოჯრის სკოლა-ინტერნატის IV კლასის არითმეტიკის მასწავლებელ ნ. კორჩეტოვას ესაჭიროება მეთოდური დახმარება. მასწავლებელი ვერ იყენებს ზეპირი ვარჯიშობის ხერხებს მოსწავლეებს ვერ აძლევს დამოუკიდებელი მუშაობის ცოდნა-ჩვევებს. საშინაო დავალება მოსწავლეებს ყოველგვარი განმარტების გარეშე ეძლევათ. IV კლასის მოსწავლეებმა სუსტად იციან პროგრამით გათვალისწინებული მასალა.

რიგი ნაკლოვანებებით ხასიათდება ფიზიკის სწავლება სამგორის რაიონის დიდი ლილოს (მასწ. ნ. მუთიკაშვილი) წყნეთის (მასწავლებელი ვ. მამაჯანოვი), კუმისის (მასწავლებელი ა. ჯიქია), საგარეჯოს რაიონის გომბორის (მასწავლებელი ჟ. ფანოზაშვილი),

მანავის (მასწავლებელი გ. საგინაშვილი) საშუალო სკოლებში. აღნიშნული მასწავლებლები არ არიან დაუფლებულნი სასკოლო ექსპერიმენტის ტექნიკას. მოსწავლეებს არ გააჩნიათ პრაქტიკული ცოდნა-ჩვევები, გრაფიკულად ვერ გამოსახავენ ფიზიკურ სიდიდეთა შორის დამოკიდებულებას, ვერ ადგენენ ელექტრო-წრედის სქემებს, არ ძალუძთ ავტომანქანასა და ტრაქტორში მიმდინარე პროცესების ასახსნელად ფიზიკაში მიღებული ცოდნის გამოყენება, ელდენით მომუშავე საყოფაცხოვრებო საგნების დაზიანებული ნაწილების აღდგენა და სხვ. აღნიშნული სკოლების ფიზიკის კაბინეტები ვერ აკმაყოფილებენ ელექტროტექნიკის მოთხოვნას, არ გააჩნიათ ელექტროდინამიკური და სითბური საზომი ხელსაწყოები, ცვლადი და მუდმივი დენის მანქანები. კაბინეტებში არ არის შეყვანილი სამფაზა დენი და სხვ. სრულიად არა აქვთ ელექტროდენის წყარო კაკაბეთისა, კუმისისა და ლილოს საშუალო სკოლებს. სკოლებში შექმნილი სასწავლო სახელოსნოები ვერ აკმაყოფილებენ პროგრამულ მოთხოვნას. ისინი არ არიან უზრუნველყოფილი საჭირო მოწყობილობითა და სამუშაო მასალებით. სრულებით არა აქვთ სასწავლო სახელოსნოები კაკაბეთისა და მანავის საშუალო სკოლებს. ზემოდასახელებული სკოლების მასწავლებლები არ ატარებენ საწარმოო ხასიათის ექსკურსიებს. არის შემთხვევები, როდესაც სკოლის ხელმძღვანელობის უყურადღებობის შედეგად ისპობა და ნადგურდება არსებული მატერიალური ბაზა. ასე, მაგალითად, კაკაბეთის საშუალო სკოლაში (დირექტორი კ. გუნთიაშვილი, კაბინეტის გამგე გ. სუხიტაშვილი) ფიზიკის ხელსაწყოები დაულაგებელი და დამტვერიანებულია და მისი ერთი ნაწილი სრულებით არ არის გამოყენებული სწავლებაში. ლილოს საშუალო სკოლაში (დირექტორი პ. ქარცივაძე) შეფ-ორგანიზაციიდან მიღებული მოქმედი ავტომობილი და ტრაქტორი ღია ცის ქვეშ დაუგდიათ, იმდენად დაჟანგებული და გაფუჭებულია, რომ სასწავლო მიზნით მათი გამოყენება შეუძლებელია.

ძალზე ცუდადაა დაყენებული ნორჩ ფიზიკოსთა და ნორჩ ტექნიკოსთა წრეების მუშაობა.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ქიმიის სწავლება გომბორის საშუალო სკოლაში. მასწავლებელი ე. ბალიაური სისტემატურად არ ატარებს პროგრამით გათვალისწინებულ პრაქტიკულ-ლაბორატორიულ სამუშაოებს, მოსწავლეებს არ გააჩნიათ პრაქტიკული მუშაობის ცოდნა-ჩვევები. IX კლასის მოსწავლეებმა არ იციან ვალენტობა, ჟანგეულების და მარილების მიღება, პერიოდული სისტემა, ერთმანეთისაგან ვერ ასხვავებენ მარტივ ნივთიერებას და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქიმიურ ელემენტს, ვერ ადგენენ რეაქციის ქიმიურ ტოლობებს და სხვა.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული სკოლებში ნორჩ ქიმიკოსთა წრეების მუშაობა, ხოლო სრულებით არ არის შექმნილი ასეთი წრე წყნეთის საშუალო სკოლაში (მასწავლებელი ნ. მანუკოვა).

სუსტი მომზადება გამოამჟღავნეს ისტორიაში საგარეჯოს რაიონის კაკაბეთის საშუალო სკოლის X კლასის (მასწავლებელი პ. პავლიაშვილი) მოსწავლეებმა. ასევე დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს საქართველოს ისტორიაში კუმისის საშუალო სკოლის IX კლასის (მასწავლებელი ა. ჯღარკავა), გომბორის საშუალო სკოლის IX კლასის (მასწავლებელი ხატიაშვილი), გამარჯვების საშუალო სკოლის IX—X კლასების (მასწავლებელი არაბული) მოსწავლეებმა. აღნიშნულ სკოლებში არაა მოწყობილი ისტორიის კლასკაბინეტები. ასევე არაა მოწყობილი ისტორიის კლასკაბინეტი კოჯრის სკოლა-ინტერნატში, დასახელებულ სკოლებში სრულებით არ სწარმოებს კლასგარეშე მუშაობა ისტორიის მასალებზე. არ ტარდება მოხსენებები, არ ეწყობა ექსკურსიები ისტორიული ძეგლების შესასწავლად, არ უთითებენ მოსწავლეებს კლასგარეშე საკითხავ ლიტერატურას.

სათანადოდ არ არის დაყენებული ბიოლოგიის სწავლება საგარეჯოს რაიონის გომბორის საშუალო სკოლაში. მასწავლებლები თ. ბერინოვა და მ. გახვეტელაშვილი არ ზრუნავენ კაბინეტის წესრიგში მოსაყვანად, სადემონსტრაციო ხელსაწყო-იარაღები არაა გამოყენებული სწავლებაში.

ანალოგიური მდგომარეობაა კაკაბეთის საშუალო სკოლაში (მასწავლებლები თ. გოგიაშვილი და გ. ქარსაულიძე).

ღარიბია სამგორის რაიონის გამარჯვებისა (მასწავლებელი ა. ფირანაშვილი) და ნორიოს საშუალო სკოლების ბიოლოგიის კაბინეტები (მასწავლებლები მ. ლიპირიდი, ქ. რურუა და ე. ხახიაშვილი).

ზემოდასახელებულ სკოლებში ბიოლოგიის სწავლება ზეპირსიტყვიერად მიმდინარეობს, არ სწარმოებს პროგრამით გათვალისწინებული ცდა-დაკვირვებები.

სუსტადაა დაყენებული ნორჩ ნატურალისტთა წრეების მუშაობა. დაბალ დონეზე დგას გეოგრაფიის სწავლება წყნეთის (მასწავლებელი თ. ქორჩილავა), მანავის (მასწავლებელი ლ. აგულაშვილი), საშუალო სკოლებსა და კოჯრის სკოლა-ინტერნატში (მასწავლებელი რ. ლაზაროვა). მასწავლებლები არ აწარმოებენ პროგრამით სავალდებულო პრაქტიკულ სამუშაოებს, არ არის დანერგილი ატლასზე მუშაობა, არ სწარმოებს ბუნების მოვლენებზე დაკვირვება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ არის მოწყობილი გეოგრაფიის კაბინეტები და არც კლასკაბინეტებია გამოყოფილი, არ აქვთ ტოპოგრაფიული გეგმა, სრულებით არ გააჩნიათ გეოგრაფიული შინაარსის სურათები, მოდელები, პრაქტიკული ვარჯიშობისათვის საჭირო ხელსაწყოები, არ არის მოწყობილი გეოგრაფიული მოედანი. ბიბლიოთეკები ღარიბია მოსწავლეთათვის საჭირო გეოგრაფიული შინაარსის მეცნიერულ-პოპულარული ლიტერატურით.

დიდი ლილოს საშუალო სკოლაში დეკრეტულ შვებულებაში მყოფი მასწავლებლის ნაცვლად გეოგრაფიას ასწავლის ფიზიკოსი გ. გაფიშვილი, რომელსაც არ შეუძლია გეოგრაფიის სწავლება.

სუსტია დირექტორისა და სასწავლო ნაწილის გამგის ხელმძღვანელობა და კონტროლი მასწავლებელთა მუშაობაზე. მცირე რაოდენობით აქვთ მოსმენილი გაკვეთილები კუმისის საშუალო სკოლის დირექტორს გ. ლლონტს, წყნეთის საშუალო სკოლის დირექტორს ვ. ლაგვილავას, სასწავლო ნაწილის გამგეს მ. აბვლედიანს— დიდი ლილოს საშუალო სკოლის დირექტორს ა. ქარცივაძეს, სასწავლო ნაწილის გამგეს გ. გაფიშვილს, გამარჯვების საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს ვ. ქებურიას, კაკაბეთის საშუალო სკოლის დირექტორს კ. გუნთაიშვილს, სასწავლო ნაწილის გამგეს პ. პავლიაშვილს, მანავის საშუალო სკოლის დირექტორ ვ. კურდღელაშვილს. მოსმენილი გაკვეთილები არ არის გაანალიზებული მეცნიერული და მეთოდურ-პედაგოგიური თვალსაზრისით. ჩანაწერები მხოლოდ გაკვეთილის მსვლელობის მექანიკურ ფიქსაციას წარმოადგენს.

უწიგნურადაა შესრულებული კუმისის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგის ა. ჯლარკავას გაკვეთილებზე დასწრების ჩანაწერები.

დაბალ დონეზე დგას მეთოდური მუშაობა კუმისის საშუალო სკოლაში. აქ სრულიად არ არის შექმნილი ქართული ენისა და ლიტერატურის, ისტორია-გეოგრაფიის, ქიმია-ბუნებისმეტყველების საგნობრივი და ციკლობრივი მეთოდ კომისიები და არ სწარმოებს კლასის ხელმძღვანელთა პედაგოგიური თათბირები. ასევე არაა შექმნილი ციკლობრივი მეთოდ კომისიები დიდი ლილოსა და გამარჯვების საშუალო სკოლებში.

სუსტად არის დაყენებული პედაგოგიური საბჭოს მუშაობა წყნეთის, გამარჯვების, დიდი ლილოს, კუმისის, მანავის საშუალო სკოლებში. მეოთხედების ბოლოს პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე არ არის გაკეთებული მეოთხედის მანძილზე ჩატარებული მუშაობის ანალიზი და არ არის დასახული კონკრეტული ღონისძიებანი სას-

წავლო-აღმზრდელობით მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეთოდურად არასწორად არის შედგენილი გაკვეთილების ცხრილი დიდი ლილოს, კუმისის, გამარჯვების, წყნეთის საშუალო სკოლებში.

არადამაკმაყოფილებლად ხორციელდება საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონი. განთესილია: ნორიოს საშუალო სკოლიდან (დირექტორი შ. რაზმაძე)—18, (გამარჯვების საშუალო სკოლიდან (დირექტორი გოგოჭური)—18, წყნეთის საშუალო სკოლიდან (დირექტორი ვ. ლაგვილავა)—5, მანავის საშუალო სკოლიდან (დირექტორი ვ. კურდღელაშვილი)—18, სართიჭალის 1 საშუალო სკოლიდან (დირექტორი შ. ბედოიძე)—6 მოსწავლე.

დაბალია მოსწავლეთა აკადემიური წარმატება, II მეოთხედის ბოლოს ქ. თბილისის სამგორის რაიონის სკოლებში შეფასებული 11.637 მოსწავლიდან ვერ ასწრებს 1819 მოსწავლე, მათ შორის I კლასში ვერ ასწრებს 197 მოსწავლე. ასევე ვერ ასწრებს 114 მეორეწლიანი მოსწავლე. საგარეჯოს რაიონის სკოლებში შეფასებული 5367 მოსწავლიდან ვერ ასწრებს 774 მოსწავლე, მათ შორის— —104 მეორეწლიანი მოსწავლე.

არ არის შესრულებული განათლების სამინისტროს 1958 წლის 24 ივნისის № 589 ბრძანება საბავშვო დაწესებულებებში ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობის დაცვისა და ჰიგიენური პირობების გაუმჯობესების შესახებ. რეგულარულად არ სწარმოებს ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობისა და ფიზიკური განვითარების შემოწმება. ასეთი არ ჩატარებულა ნორიოს საშუალო სკოლაში 1955 წლის შემდეგ, ხოლო მ/სასწავლო წელს არ ჩატარებულა მანავის, კაკაბეთისა და გამარჯვების საშუალო სკოლებში. უბნის ექიმებს სკოლის დირექციის მიერ არა აქვთ გამოყოფილი დღეები და საათები სამედიცინო შემოწმებისა და პროფილაქტიკურ ღონისძიებათა ჩასატარებლად.

სისუფთავე არ არის დაცული მანავის, კაკაბეთის, წყნეთისა და გამარჯვების საშუალო სკოლებში. არ სწარმოებს საკლასო ოთახების ცვლებს შორის სველი წესით დასუფთავება და განიავება. საგარეჯოსა და გამარჯვების საშუალო სკოლებს არა აქვთ ფრამუგები და სარკმელები, რაც აძნელებს საკლასო ოთახების განიავებას. საგარეჯოს 7 წლიანი, კაკაბეთის და გომბორის საშუალო სკოლების მოსწავლეები ასაკისათვის შეუფერებელ მერხებზე სხედან. მანავის საშუალო სკოლის მოსწავლეებს ეზოს გარეთ უხდებათ სასმელი წყლისათვის გასვლა. მანავის, გამარჯვებისა და ნორიოს სა-

შუალო სკოლებში არ ექცევა სათანადო ყურადღება სანიტარულ-ჰიგიენური პირობების მოწყობას. სკოლებში არ არის ნაგვის ყუთები და საფურთხებლები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თბილისის სამგორის რაიონის განათლების განყოფილება (გამგე შ. ბერაძე) არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობს სკოლების მუშაობას. მ/სასწავლო წელს მას შესწავლილი აქვს მხოლოდ 21 საშუალო სკოლიდან—7, 22 შვიდწლიანი სკოლიდან—3 სკოლის მუშაობა, 28 დაწყებითი სკოლიდან კი არცერთი სკოლის მუშაობა არ არის შესწავლილი.

სახალხო განათლების საბჭოს სხდომა მ/სასწავლო წელს მხოლოდ ერთხელაა ჩატარებული.

**ვბრძანებ:**

1. თბილისის სამგორისა და საგარეჯოს რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) ზუსტად აღრიცხონ სასკოლო ასაკის ყველა ბავშვი და გაატარონ საჭირო ღონისძიებანი ახალი სასწავლო წლიდან სწავლებაში მათ უკლებლივ ჩასაბმელად; მკაცრი ზომები მიიღონ სკოლის იმ ხელმძღვანელების წინაართ, რომლებიც მოფიქრებულ პედაგოგიურ ღონისძიებებს არ ატარებენ სწავლებაში ჩაბმულ სასკოლო ასაკის ბავშვთა შესანარჩუნებლად;

ბ) ერთი დეკადის ვადაში დააზუსტონ კაბინეტ-ლაბორატორიების, ბიბლიოთეკების, სასწავლო სახელმძღვანელოების საჭიროებანი და მიიღონ გადამჭრელი ზომები სრულ წესრიგში მათი მოყვანისა და შევსებისათვის, ხოლო, სადაც ასეთი არ არის, ახლის მოწყობისათვის;

გ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმ კლასებს, რომლებიც 1959—60 სასწავლო წლის 1 სექტემბრიდან უნდა იქნან გადაყვანილი ახალ სასწავლო გეგმებსა და პროგრამებზე; აგრეთვე იმ მეცხრე კლასებს, რომლებიც ა/წლის 1 სექტემბრიდან უნდა იქნენ გადაყვანილი საწარმოო სწავლებაზე. ყოველმხრივ მოამზადონ ისინი ამ ღონისძიებების წარმატებით განხორციელებისათვის;

დ) დასახონ და განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების სანიმუშოდ მოსამზადებლად, უზრუნველყონ სასკოლო შენობის, ეზოს და სასკოლო მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობა.

2. თბილისის სამგორის რაიონის განათლების განყოფილებამ (გამგე შ. ბერაძე) სისტემატურად შეისწავლოს სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა და მოახდინოს სკოლებზე მიცე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მული მითითებების შესრულების შემოწმება. უზრუნველყოს დებულების მიხედვით სახალხო განათლების საბჭოს ნაყოფიერი მუშაობა.

3. სკოლის დირექტორებმა:

ა) გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი მასწავლებელთა მუშაობაზე, სისტემატურად მოისმინონ მასწავლებელთა გაკვეთილები და მიაღწიონ მასწავლებელთა პედაგოგიური დახელოვნების სრულყოფასა და სწავლების მაღალ დონეზე დაყენებას;

ბ) პერიოდულად შეამოწმონ საპროგრამო მასალის გავლისა და ათვისების ხარისხი: განსაკუთრებული დახმარება აღმოუჩინონ მეორეწლიან და აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებს, უზრუნველჰყონ მათი მომზადების დონის არსებითად ამაღლება.

4. სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაზე სუსტი ხელმძღვანელობისათვის გამოეცხადოს საყვედური თბილისის სამგორის რაიონის კუმისის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს ა. ჯღარკავას.

5. საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების, სკოლის კეთილმოწყობის საქმისადმი არაგულისხმიერი დამოკიდებულისა და სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაზე საჭირო ხელმძღვანელობის განუხორციელებლობის გამო მიეთითოთ საგარეჯოს რაიონის კაკაბეთის საშუალო სკოლის დირექტორს ვ. გუნთაიშვილს, მანავის საშუალო სკოლის დირექტორს ვ. კურდღელაშვილს, თბილისის სამგორის რაიონის გამარჯვების საშუალო სკოლის დირექტორს გ. გოგოჭურს, ნორიოს საშუალო სკოლის დირექტორს შ. რაზმაძეს, წყნეთის საშუალო სკოლის დირექტორ გ. ლაგვილავას.

6. რუსული ენის უცოდინარობის გამო ახალი სასწავლო წლიდან ჩამოერთვათ რუსული ენის საათები წყნეთის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებლებს ა. ოძელაშვილსა და ზ. ოძელაშვილს, კუმისის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს ჟ. ამირჯანოვას, კაკაბეთის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელ მ. ამბარდანაშვილს.

7. სკოლების მუშაობაზე სუსტი ხელმძღვანელობისათვის მიეთითოს თბილისის სამგორის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს შ. ბერაძეს.

8. საგნის სწავლების არადამაკმაყოფილებლად დაყენების გამო მიეთითოს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს: მ. მორჩილაძეს (მანავის საშუალო სკოლა), ლ. ფალიანს (სართიჭალის მეორე საშუალო სკოლა), ა. ძიძიკაშვილს (ნორიოს საშუალო სკო-

ლო); რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს მ. მიროფა-ნიშვილს (კაკაბეთის საშუალო სკოლა), ნ. ასთარაშვილს, ე. ტიმოფე-კოვას (საგარეჯოს საშუალო სკოლა); ფიზიკის მასწავლებელ გ. სუ-ხიტაშვილს (კაკაბეთის საშუალო სკოლა); ქიმიის მასწავლებელ ე. ბალიაურს (გომბორის საშუალო სკოლა).

9. თბილისის სამგორისა და საგარეჯოს რაიონების განათლე-ბის განყოფილებებმა (შ. ბერაძე, ი. ბედიაშვილი) სასწავლო წლის ბოლოს შეამოწმონ ამ ბრძანებაში აღნიშნული სუსტად მომუშავე სკოლის ხელმძღვანელებისა და მასწავლებლების მუშაობა, გაატა-რონ საჭირო ღონისძიებანი და შედეგები მოახსენონ განათლების სამინისტროს.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კო-ლეგიის 1959 წლის 10 აპრილის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი გ. ჯიბლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

## № 394

1959 წლის 21 აპრილი

**პიონერთა ცოდნისა და ჩვევების სანიმუშო ნუსხის განხორციელების საქმეში თბილისის სამგორისა და საგარეჯოს რაიონების ზოგიერთი სკოლის მუშაობის შ ე ს ა ხ ე ბ**

აღვნიშნავ, რომ თბილისის სამგორისა და საგარეჯოს რაიონების განათლების განყოფილებებმა და სკოლების პედაგოგიურმა კოლექტივებმა ერთგვარი მუშაობა ჩაატარეს საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმის, XIII ყრილობისა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის II პლენუმის დადგენილებათა განსახორციელებლად.

გაუმჯობესდა სკოლის დირექტორების, სასწავლო ნაწილის გამგეების, კლასის ხელმძღვანელების, მასწავლებლების დახმარება-ხელმძღვანელობა პიონერულ-კომკავშირული ორგანიზაციებისადმი, რამაც გამოიწვია პიონერთა რაზმეულებისა და რაზმების მუშაობის გამოცოცხლება.

შედარებით უფრო მრავალფეროვანი, შინაარსიანი გახდა პიონერთა რაზმებისა და რაზმეულების შეკრების თემატიკა. პიონერები ჩაბმული არიან საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში, მუშაობენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. საგარეჯოს რაიონის გომბორის საშუალო სკოლის (უფროსი პიონერხელმძღვანელი ამხ. ც. კვიატკოვსკაია) პიონერული რაზმეულისა და რაზმების შეკრება ჩატარდა თემაზე: „საბჭოთა არმია 40 წლისაა“, „წითელი ყელსახვევი“, „ვისწავლოთ ილიჩისებურად“, ხოლო საგარეჯოს საშუალო სკოლაში—„გმირი პიონერები“, „როგორ გავუფრთხილდეთ საზოგადო ქონებას“, „ლენინის ბავშობა“, „ჩვენ მშვიდობა გვინდა“, „თბილისი 1500 წლისაა“ და სხვ.

გომბორის საშუალო სკოლის პიონერებს კავშირი აქვთ მო-კავშირე რესპუბლიკების სკოლებთან, უგზავნიან მათ წერილებს, ფოტოსურათებს, ალბომებს ამოქარგულ ყელსახვევებს, ხილს და სხვ.

პიონერებმა შეაგროვეს 2 ტონა ჯართი, 2100 ც. კაკლის თესლი, 200 კგ. მაკულატურა. ამ სკოლის პიონერები სისტემატურად უვლიან კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმაში მათზე გაპიროვნებულ ხბოებს, კურდღლებს.

ზემოაღნიშნული წარმატების მიუხედავად სამგორის რაიონის წყნეთის, დიდი ლილოს, საგარეჯოს რაიონის მანავისა და კაკაბეთის საშუალო სკოლებს პიონერთა ცოდნისა და ჩვევების სანიმუშო ნუსხის შესწავლისა და განხორციელების საქმეში აქვთ სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებანი.

ამ სკოლების დირექტორებს არ ჩაუტარებიათ სპეციალური სემინარები, რათა მასწავლებლებსა და კლასის ხელმძღვანელებს შეესწავლათ „პიონერთა ცოდნისა და ჩვევების სანიმუშო ნუსხის" შესახებ საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის II პლენუმის მიერ მიღებული დადგენილება და არ დაუსახავთ კონკრეტული გზები საფეხურების მიხედვით ნუსხის მაჩვენებლების ცხოვრებაში გასატარებლად; თავის დროზე არ ჩაუტარებიათ პიონერულ და კომკავშირულ ორგანიზაციებში, აგრეთვე მშობელთა შორის ახსნა—განმარტებითი მუშაობა ნუსხის შინაარსისა და პიონერებისადმი ამ დარგში დახმარების ფორმების შესახებ. საგარეჯოს რაიონის მანავის (დირექტორი ამხ. ვ. კურდღელაშვილი, უფროსი პიონერხელმძღვანელი ლ. ჭიჭინაშვილი), კაკაბეთის (დირექტორი ამხ. კ. გუნთაიშვილი, უფროსი პიონერხელმძღვანელი ამხ. ზ. ოსეფოვა), სამგორის რაიონის წყნეთის (დირექტორი ვ. ლაგვილავა, უფროსი პიონერხელმძღვანელი ამხ. ნ. ნარიმანიშვილი) საშუალო სკოლების სამუშაო გეგმებში არ არის გათვალისწინებული კონკრეტული საკითხები პიონერულ ორგანიზაციაზე ხელმძღვანელობისა და დახმარების შესახებ.

იმის გამო, რომ კლასის ხელმძღვანელები არ იცნობენ საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას პიონერთა ცოდნისა და ჩვევების სანიმუშო ნუსხის შესახებ, სუსტია მათი დახმარება ამ ღონისძიების გატარებაში (სამგორის რაიონის წყნეთის საშუალო სკოლის V-კლასის ხელმძღვანელი ამხ. ლ. კვანტალიანი, VI კლასი—ხელმძღვანელი ამხ. ვ. მამაჯანოვა, IV კლასი—ხელმძღვანელი ამხ. ს. ოძელაშვილი, დიდი ლილოს საშუალო სკოლის V კლასი—ხელმძღვანელი ამხ. ვ. დიქტოროვა, VI კლასი—ხელმ-

ძღვანელი ამხ. გ. ჩომახიძე VII კლასი—ხელმძღვანელი ამხ. მ. ბოჟაძე, საგარეჯოს რაიონის მანავის საშუალო სკოლის IVა კლასი-ხელმძღვანელი ამხ. ე. ღვთისავრიშვილი, IVბ კლასი-ხელმძღვანელი ე. ბერიძე, Vა კლასი—ხელმძღვანელი ო. მახარაძე, ამავე რაიონის კაკაბეთის საშუალო სკოლის $V^1$ კლასი—ხელმძღვანელი ამხ. მ. აივაზოვა, $V^2$ კლასი—ხელმძღვანელი ამხ. ა. ათუაშვილი, $VII^2$ კლასი—ხელმძღვანელი ამხ. რ. დათუაშვილი.

ზოგიერთი კლასის ხელმძღვანელს არა აქვს დაგეგმილი პიონერთა ორგანიზაციაზე ხელმძღვანელობისა და დახმარების საკითხები საერთოდ, პიონერთა ცოდნისა და ჩვევების სანიმუშო ნუსხის განხორციელებაში დახმარების საკითხები კერძოდ. ისინი არ ღებულობენ მონაწილეობას პიონერული რაზმების შეკრებათა თემების შერჩევაში, არ ესწრებიან სისტემატურად რაზმებისა და რგოლების შეკრებას და სხვ. (საგარეჯოს რაიონის სართიჭალის II საშუალო სკოლის IVბ კლასი—ხელმძღვანელი მ. გურგენიძე, კაკაბეთის საშუალო სკოლის $VI^1$ კლასი—ხელმძღვანელი შ. ბურჭულაძე, $VII^2$ კლასი—ხელმძღვანელი ამხ. ლ. მარტიაშვილი, $VII^1$ კლასი—ხელმძღვანელი ამხ. გ. სუხიტაშვილი და სხვ.).

ჯერ კიდევ არა საკმაოა სკოლის გარეშე დაწესებულებების დახმარება სკოლებისადმი პიონერთა ცოდნისა და ჩვევების სანიმუშო ნუსხის განხორციელების საქმეში. მათ მიერ არ ეწყობა პიონერთა აქტივისა და პიონერხელმძღვანელებისათვის სემინარები და არ ხდება მოწინავე გამოცდილების განზოგადება. უპირველეს ყოვლისა ეს ითქმის საგარეჯოს პიონერთა სახლის შესახებ.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სამგორისა და საგარეჯოს რაიონების სკოლების დირექტორებმა არსებითად გარდაქმნან პიონერთა ორგანიზაციებზე ხელმძღვანელობა და დახმარება. რისთვისაც:

ა) უახლოეს ხანში შეამოწმონ კლასის ხელმძღვანელების მუშაობა პიონერთა ცოდნისა და ჩვევების სანიმუშო ნუსხის ცხოვრებაში გატარების საქმეში. შემოწმების შედეგები განიხილონ პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე და დასახონ ღონისძიებანი პიონერების მიერ ცალკეული საფეხურების საფუძვლიანად შესწავლის უზრუნველსაყოფად;

ბ) განმეორებით ჩაატარონ მასწავლებელთათვის 2 საათიანი სემინარი პიონერთა ცოდნისა და ჩვევების სანიმუშო ნუსხის შესასწავლად ცალკეული საფეხურების მიხედვით;

გ) სკოლისა და კლასის ხელმძღვანელების სამუშაო გეგმებში გაითვალისწინონ პიონერთა რაზმეულებისა და რაზმების მუშაობა-

ზე ხელმძღვანელობისა და დახმარების კონკრეტული საკითხებზე; გულდასმით განიხილონ და დაამტკიცონ პიონერთა რაზმეულის სამუშაო გეგმები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) უზრუნველყონ პიონერთა ცოდნისა და ჩვევების სანიმუშო ნუსხის შესაბამისად ყოველი შეკრებისათვის პიონერთა ასაკის, მომზადების, მისწრაფებისა და ინტერესის შესაბამისი თემების შერჩევა (მაგალითად, „ვ. ი. ლენინის ცხოვრება", „მეგობრობა", „მშვიდობა", „ხუთგზის ორდენოსანი კომკავშირი", „სამოქალაქო ომის გმირები", „ჩვენი სამშობლო", „გმირი პიონერები", „გმირი კომკავშირელები" და სხვ.) და მათ დამუშავებაში პიონერთა აქტიური მონაწილეობა. აღმოფხვრან ფორმალიზი რაზმეულებისა და რაზმების მუშაობის პრაქტიკიდან; ნამდვილად უზრუნველყონ შეკრების საინტერესოდ და მომზადებულად ჩატარება;

ე) ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცების მიზნით განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ პიონერთა შორის ტექნიკური და საბუნებისმეტყველო ცოდნის პროპაგანდას; სპეციალური შეკრებები მიუძღვნან ტექნიკის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის გამოჩენილი ადამიანების ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლას. საფეხურების მიხედვით ჩამოაყალიბონ რაზმებთან შრომითი ხასიათის წრეები (ხელმარჯვეთა, ფოტომოყვარულთა, ჭრაკერვის, მეოჯახეობის, ავიამოდელისტთა და სხვ.). უზრუნველჰყონ კონკურსებში „ნორჩ ტექნიკოსთა დახმარება სკოლას", „ნორჩ ნატურალისტთა დახმარება სკოლას", მოსწავლეთა სასწავლო შემოქმედებით კონფერენციებსა და ოლიმპიადებში პიონერთა და მოსწავლეთა მასობრივი მონაწილეობა;

ვ) პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე პერიოდულად მოისმინონ უფროსი პიონერხელმძღვანელების მოხსენებები პიონერთა ცოდნისა და ჩვევების სანიმუშო ნუსხის განხორციელების მდგომარეობაზე;

ზ) სკოლის მთელი კოლექტივის მუშაობა წარმართონ პიონერთა და მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური დონის შემდგომი ამაღლებისაკენ. აღზარდონ ისინი საბჭოთა ხალხის რევოლუციურ და შრომითს ტრადიციებზე, რევოლუციის ვეტერანების ცხოვრებისა და მოღვაწეობის, შრომის გმირების, გამოჩენილი ადამიანების მაგალითებზე;

თ) სკოლის სასწავლო ხარჯებიდან შეიძინონ პიონერთა რაზმების ატრიბუტები, ალბომები პიონერთა რაზმეულისა და რაზმების დღიურებისათვის. შექმნან პიონერთა ოთახში მუშაობის ნორმალური პირობები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. საგარეჯოს პიონერთა სახლის დირექტორმა ყოველდღიური დახმარება აღმოუჩინოს პიონერთა აქტივს, ჩაატაროს მათთან სემინარები ცალკეული საფეხურების მიხედვით, მოაწყოს ექსკურსიები, საუბრები, შეხვედრები მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის წარჩინებულ ადამიანებთან.

3. სამგორისა და საგარეჯოს რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) განათლების განყოფილებებისა და სახალხო განათლების საბჭოების სამუშაო გეგმებში შეიტანონ პიონერთა რაზმეულებისა და რაზმების მუშაობაზე ხელმძღვანელობის საკითხები;

ბ) სკოლების საინსპექტორო შემოწმების დროს ალკკ რაიონულ კომიტეტებთან ერთად სისტემატურად შეისწავლონ პიონერთა ცოდნისა და ჩვევების სანიმუშო ნუსხის განხორციელების საკითხები და აღმოუჩინონ სკოლებს ამ დარგში პრაქტიკული დახმარება;

გ) ალკკ რაიონულ კომიტეტებთან ერთად გადასინჯონ უფროს პიონერ-ხელმძღვანელთა კადრები და გაატარონ სათანადო ღონისძიებანი;

დ) საგარეჯოს რაიონის განათლების განყოფილებამ შეუქმნას მატერიალური ბაზა პიონერთა სახლს და უზრუნველყოს მასზე ხელმძღვანელობისა და დახმარების გაუმჯობესება.

4. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურმა, ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკურმა, ნორჩ ტურისტთა საექსკურსიო სადგურებმა, ქ. თბილისისა და ქუთაისის პიონერთა სასახლეებმა, რაიონულმა და საქალაქო პიონერთა სახლებმა, აგრეთვე ნორჩ ტექნიკოსთა სადგურებმა გადაჭრით გააუმჯობესონ მუშაობა პიონერთა ცოდნისა და ჩვევების სანიმუშო ნუსხის ცალკეული საფეხურების მაჩვენებლების ცხოვრებაში გატარებისათვის, მოამზადონ შესაფერისი ნახაზები, აღწერილობანი, მეთოდური მითითებები, განაზოგადონ მოწინავე გამოცდილებანი.

5. უფროს პიონერხელმძღვანელთა რესპუბლიკურმა სკოლამ შეაგროვოს თვალსაჩინო მასალა, მეთოდური და დამხმარე ლიტერატურა პიონერორგანიზაციის მუშაობის საკითხებზე და მ/წლის 1 ივნისამდე მოაწყოს მუდმივმოქმედი გამოფენა რესპუბლიკის სკოლების უფროს პიონერხელმძღვანელთათვის.

6. პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტმა 1960 წლის გეგმაში გაითვალისწინოს მასწავლებელთათვის საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის II პლენუმის დადგენილების შესაბამისი შრომის დამუშავება და გამოცემა.

7. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა სკოლის დირექტორებსა და მასწავლებლებს კურსებზე გააცნოს საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის II პლენუმის დადგენილება.

8. სკოლების სამმართველომ თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

## შემჩნეული შეცდომების გასწორება

| №№ რიგზე | გვერდი | სტრიქონი ზემოდან | დაბეჭდილია | უნდა იკითხებოდეს |
|---|---|---|---|---|
| 1 | 19 | 19 | დაწესებულებებში ხელფასიანი საშუალო ადგილებით | დაწესებულებებში ხელფასიანი სამუშაო ადგილებით |
| 2 | 20 | 2 | უახლოეს მიღწევებს | უახლეს მიღწევებს |
| 3 | 21 | 15 | სტუდენტთა საწარმოო სწავლების ორგანიზაციებში | სტუდენტთა საწარმოო სწავლების ორგანიზაციაში |
| 4 | 21 | 19 | საპროექტო-საკონსტრუქტური | საპროექტო-საკონსტრუქტორო |
| 5 | 22 | 25 | სამედიცინო ინსტიტუტებში | სამედიცინო ინსტიტუტში |
| 6 | 23 | 29 | მუშაობენ მეურნეობისა და კულტურის დარგებში | მუშაობენ სახალხო მეურნეობისა და კულტურის დარგებში |
| 7 | 24 | 34 | საწარმოთა, მშენებლობათა საკონსტრუქტურო ბიუროთა | საწარმოთა, მშენებლობათა საკონსტრუქტორო ბიუროთა |
| 8 | 30 | 29 | აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრმა | აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრებმა |

შინაარსი

ეროვნული ბიბლიოთეკა


1. კანონი საქართველოს სს რესპუბლიკაში ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . 3

2. ბრძანება № 423—ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ კანონთან დაკავშირებულ პრაქტიკულ ღონისძიებათა შესახებ. . . . . . . 28

3. განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფესიული კავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1959 წლის 23 მარტის დადგენილება—საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში მოსწავლეთა ჩაბმისათვის თელავის რაიონის ფშავლის საშუალო სკოლაში ჩატარებული მუშაობის შესახებ . . 33

4. ბრძანება №314—კოჯრის სკოლა-ინტერნატში შექმნილი მდგომარეობის შესახებ გაზეთ „მოლოდოი სტალინეცის“ 1959 წლის 26 მარტის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში აღნიშნული ფაქტების შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . 37

5. Приказ № 355—О состоянии осуществления всеобщего обязательного обучения в щколах Абхазской ССР . . . . . . . . . 41

6. ბრძანება №353—ქალაქ რუსთავის სკოლებში პოლიტექნიკური სწავლების განხორციელების მდგომარეობის შესახებ . . . . . . . . . 44

7. ბრძანება №377—ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის გაუმჯობესების ღონისძიებათა თაობაზე საქართველოს სსრ განათლების მინისტრის 1957 წლის 30 სექტემბრის №1477 ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ . . . . . 49

8. ბრძანება №378—ქ. თბილისის სამგორისა და საგარეჯოს რაიონების სკოლებსა და სკოლა-ინტერნატებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . 55

9. ბრძანება №394 პიონერთა ცოდნისა და ჩვევების სანიმუშო ნუსხის განხორციელების საქმეში თბილისის სამგორისა და საგარეჯოს რაიონების ზოგიერთი სკოლის მუშაობის შესახებ . . . . . . . . . . . 65



შეკვ. № 566 ტირაჟი 5000

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა,
უშ. ჩხეიძის ქ., 19.